



საქართველოს უნივერსიტეტი



ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნისა და სისტემატიზაციის პრობლემა
(თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების კონტექსტში)

ბაბულია ახოზაძე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ჰუმანიტარული სკოლის
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
დომნა კარანაძე

თბილისი 2019

მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია თანამედროვე ინგლისური ბიზნეს ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე გადმოტანის თავისებურებანი. ქართულენოვანი ბიზნეს ტერმინოლოგიის სფეროში არსებული პრობლემა დაკავშირებულია ბიზნესის სფეროს განვითარებისა და აღნიშნული სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემის ჩამოყალიბების ინტენსიურობის ხარისხთა სხვაობასთან. ბიზნესის სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. ამ ეტაპზე კი ქართული ენა ინტენსიურად იყენებს ინგლისური ენისათვის ტიპური ენობრივი ფორმების კალკირებას. ანალიზმა ცხადყო, რომ ინგლისურენოვანი ტერმინის ქართულში დამკვიდრების პირველ ეტაპზე ხდება ტერმინის სემანტიზაცია. აღნიშნული პროცესი გულისხმობს ტერმინის ადაპტაციას ბიზნესის სფეროში. ინგლისურენოვანი ტერმინის დამკვიდრების მეორე ეტაპზე ხდება ტერმინის კონვენციონალიზაცია - ტერმინის ტრანსპოზიცია ბიზნეს კომუნიკაციის სფეროდან ენის სისტემაში ანუ ხდება ტერმინის ტრანსფორმაცია ენობრივი სისტემის ელემენტად.

საკვლევი ტერმინოსისტემის სემანტიკისათვის ფუძემდებლურია დომენის ფენომენი, რომელიც მოიცავს მენტალურ გამოცდილებას, რეპრეზენტაციულ სივრცეებსა და კონცეპტუალურ კომპლექსებს. ადამიანის მენტალური გამოცდილების დაუსრულებელი განვითარების წყალობით, ბიზნესის თემატური სივრცე წარმოადგენს დომენების ღია სტრუქტურას, რომელშიც ჩნდება მოცულობითა და სირთულით განსხვავებული კონცეპტუალური იერარქიები. სხვადასხვა დონის დომენები ქმნიან ბიზნესის კონცეპტუალურ სფეროს. კონცეპტუალურ სფეროში ცნებობრივი სივრცეების მეშვეობით მიმდინარეობს „ინფორმაციის გრანულაცია“.

ნაშრომში ბიზნესის სფეროსათვის რელევანტური ტერმინოსისტემის სემანტიკისათვის გამოყენებულია კლასტერული ანალიზი, რომელიც გულისხმობს ყველა რელევანტური ელემენტის კლასტერულ „ხეში“ ჩართვას. სისტემის იერარქიული კლასტერიზაციის შედეგად აიგო ”ცოდნის პირამიდა“, რომლის სპეციფიკაც განპირობებულია ადამიანის მეხსიერებაში ცნებებს შორის სხვადასხვა ტიპის მიმართებათა არსებობით. ბიზნესის სფეროსათვის რელევანტური ”ცოდნის პირამიდა“ წარმოადგენს სიღრმისეულ კავშირთა,

მიმართებათა და კანონთა ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი ფენომენის ძირითად მახასიათებლებსა და განვითარების ტენდენციებს.

შინაარსი	4
თავი I. ბიზნეს ტერმინოლოგია და თარგმნადობა-არათარგმნადობის პრობლემა	
1.1 ბიზნეს კომუნიკაციისა და თარგმანის წარმოშობა-განვითარების ისტორია	12
1.2 თარგმანის ადეკვატურობის საკითხი	15
1.3 ადეკვატურობისა და ეკვივალენტურობის ცნებები კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონტექსტში	21
თავი II. კვლევის მეთოდოლოგია	
2.1 ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნის ლინგვისტური საფუძვლები	39
2.2 კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამების ლინგვისტური პრობლემები	50
2.3. პოლისემია და სინონიმია	54
2.4 სემანტიკური დომენები	61
თავი III. ფუძემდებლური დებულებები და სეგმენტაციის პრინციპები	
3.1. სქემის სეგმენტაციის პრინციპები	67
3.2 ბიზნესის სქემა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში	70
3.3. ბიზნეს-ტერმინოლოგიის თემატური სივრცის „ფული“ სეგმენტაცია	110
დასკვნა	132
გამოყენებული ლიტერატურა	136

შესავალი

სავაჭრო ურთიერთობებს და ბიზნესკომუნიკაციის სფეროს წამყვანი ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში. ვაჭართა კლასი ძველთაგანვე დიდ როლს ასრულებდა ხალხთა შორის ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაში. პირველი მთარგმნელები სწორედ ვაჭრები ანუ ბიზნესმენები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებს სტუმრობდნენ და უკან დაბრუნებულებს თან მოჰქონდათ ახალი საქონელი და მათი სახელწოდებანი, ანუ ახალი სიტყვები. სწორედ ამ ადამიანებთან ასოცირდება ბიზნესისა და ბიზნესკომუნიკაციის სფეროს განვითარება.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობასა და ბიზნესკომუნიკაციას დიდი ხნის ისტორია აქვს. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ცნობილმა ინგლისელმა ვაჭარმა, მწერალმა და ჟურნალისტმა დანიელ დეფომ, რომელიც მსოფლიოში უფრო თავისი მხატვრული ნაწარმოებებით (“რობიზონ კრუზო” და სხვ.) არის ცნობილი, სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ბიზნესკომუნიკაციის თემას სახელწოდებით “სრულყოფილი ინგლისელი ვაჭარი”, სადაც ის ვაჭრობას ძალიან საპატიო და უმაღლეს სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობად მიიჩნევს.

საქართველოს ისტორიაში მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება ადრეული ეპოქიდანვე იწყება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მდიდარი ისტორიული მასალა მოწმობს, რომ საქართველო უძველესი დროიდან ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას და საგარეო ვაჭრობას, რასაც მისი გეოგრაფიული მდებარეობაც ხელს უწყობდა.

ეკონომიკის როლი ქვეყნის განვითარების საქმეში მუდამ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული საქართველოს მეფეებსა და ქვეყნის მოწინავე საზოგადოებას.

დღევანდელი ცხოვრება წარმოუდგენელია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე, მითუმეტეს ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. დასავლეთის მრავალ განვითარებულ ქვეყანას, მათ შორის დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ეკონომიკისა და ბიზნესის თვალსაზრისით დიდი გამოცდილება აქვს. ამ ქვეყნებთან არაერთი დიდი ეკონომისტის სახელია დაკავშირებული. როგორც ადრეული ეპოქის, ისე თანამედროვე. ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში გავრცელებული ტერმინოლოგიის უდიდესი ნაწილი ინგლისური წარმომავლობისაა. საერთაშორისო

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საწარმოებლად უმთავრესად ინგლისური ენა გამოიყენება.

ზოგადად ინგლისური დიდ გავლენას ახდენს სხვა ენებზე, მათ შორის ქართულზეც. თუმცა, თვითონ ინგლისურსაც სხვა ენების დიდი ზეგავლენა ემჩნევა, კერძოდ, ინგლისურ ენაში დღემდე უხვად არის შემორჩენილი ფრანგული და ლათინური ტერმინოლოგია.

საქართველო დასაბამიდან ცდილობს ფეხდაფეხ მიჰყვეს საერთაშორისო ცხოვრების ტემპს, რასაც ხელს უწყობს მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც არა მხოლოდ ხელს უწყობს, არამედ ერთგვარად აიძულებს კიდევ, რომ კულტურათა ამ გზაშესაყარზე განვითარების მაღალი ტემპი შეინარჩუნოს. ამდენად, ქართული ეკონომიკისათვის და, ზოგადად, ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაზიარება, რაც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს გააჩნია საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით. თანამედროვე საზოგადოება წარმოდგენელია გლობალური კომერციული საქმიანობის გარეშე. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და ბიზნესკომუნიკაცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით მსოფლიოში დაახლოებით შვიდიასამდე ენას ითვლიან და ქართული ენა მსოფლიოს ყველა სხვა ენისაგან მკვეთრად განსხვავდება, ყველა სხვა კულტურასთან ურთიერთობა მხოლოდ რომელიმე უცხო ენის საშუალებით არის შესაძლებელი. სხვადასხვა ეპოქაში საქართველოსთვის ასეთი საკომუნიკაციო საშუალების როლს სხვადასხვა ენა ასრულებდა. დღეს კი ჩვენი საგარეო ურთიერთობა ძირითადად ინგლისურ ენას ეყრდნობა. ინგლისური ენა არის ის ერთ-ერთი მთავარი მედიუმი, რაც საქართველოს გარე სამყაროსთან აკავშირებს. ამასთან ერთად, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ისეთ განვითარებულ ქვეყნებთან ურთიერთობას და მათი გამოცდილების გაზიარებას, როგორც არის ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი. აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია ეკონომიკასა და ბიზნეს-კომუნიკაციასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის თარგმნის პრობლემების კვლევა.

საკვლევი თემის აქტუალურობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

გლობალიზაციის პირობებში სწრაფი ტემპით ვითარდება საერთაშორისო კომერციული ურთიერთობა და ბიზნეს კომუნიკაცია.

ბიზნესის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საკომუნიკაციო მედიუმს ინგლისური ენა წარმოადგენს და ბიზნეს-ტერმინოლოგიის უდიდესი ნაწილიც ინგლისური წარმომავლობისაა.

მიმდინარე ტექნოლოგიურ პროგრესს ახალი ტექნიკური საშუალებები მოაქვს და, შესაბამისად, მათი სახელწოდებები ნეოლოგიზმების სახით შემოდის ენაში. ტექნოლოგიური რევოლუცია ფულსაც შეეხო და კრიპტოლოგიური ვალუტის წარმოშობასთან ერთად ყოველდღიურად ფულის აღმნიშვნელი და ფულთან დაკავშირებული უამრავი ახალი სიტყვა ჩნდება მსოფლიოში, შესაბამისად ქართულშიც. ქართული ენა თავისი სტრუქტურით, გრამატიკით, დამწერლობითა და ბგერებითაც კი მსოფლიოს არცერთ ენას არ ჰგავს, შესაბამისად სრულიად განსხვავებულია ინგლისური ენისგან. აქედან გამომდინარე, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. ამასთან ერთად, დღევანდელი დაჩქარებული ცხოვრების ტემპის გამო ყოველდღიურად სულ უფრო მეტი თარგმანის ოპერატიულად შესრულება ხდება საჭირო. თანამედროვე ცხოვრებისა და საქმიანობის კომპიუტერიზაციის პირობებში განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინა ელექტრონულმა ლექსიკონებმა და კომპიუტერულმა თარგმანმა. კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამები ძალიან პოპულარული და მოსახერხებელია თარგმანის სწრაფად შესასრულებლად, მაგრამ კომპიუტერული პროგრამა ვერ ახერხებს სხვადასხვა სემანტიკური, პოლისემიური მნიშვნელობების, სინონიმური რიგების, ომონიმების, ჰიპონიმების და აგრეთვე ტერმინოლოგიური ნეოლოგიზმების დიფერენცირებას და ადეკვატური ექვივალენტის იდენტიფიცირებას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, კონკრეტული ტერმინოლოგიის სისტემატიზაცია და სეგმენტაცია და ერთგვარ სემანტიკურ დომენებში კლასტერებად დაჯგუფება საშუალებას მისცემს კომპიუტერულ მთარგმნელობით პროგრამებს და, არა მხოლოდ ამ პროგრამებს, არამედ, საერთოდ, მთარგმნელებს ელექტრონული ლექსიკონიდან თუ, ზოგადად, ელექტრონული ბაზებიდან სწრაფად მოახდინოს მოცემული კონტექსტის ადეკვატური ტერმინის იდენტიფიცირება და რეალიზაცია.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს:

1. თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების მსგავსება-განსხვავების გამოვლენა ბიზნეს ტერმინოლოგიის ფარგლებში განხორციელებული თარგმნის ადეკვატურობისა და კომუნიკაციური ღირებულების იდენტიფიცირების გზით;
2. მრავალმდარგობრივი ბიზნეს ტერმინოლოგიის ლოგიკური სქემის კონსტრუირება მასში ინტეგრირებულ ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელობების ანალიზის მეშვეობით. დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება ისეთი ამოცანათა გადაჭრა და კვლევის ისეთი ეტაპის განხორციელება, როგორცაა:
 - I. თემისათვის რელევანტური სპეციალური მასალის მოძიება და სისტემატიზაცია;
 - II. თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში ბიზნესის სფეროსათვის რელევანტური ტერმინოსისტემის კონსტრუირება, რაც გულისხმობს:
 1. მსგავსი რეფერენციის მქონე ტერმინების იდენტიფიცირებასა და მათ ინტეგრირებას დომენებში;
 2. გასაანალიზებელი ტერმინოლოგიის ცნებითი შემადგენლობის ეტაპობრივ დანაწევრებას, რაც ეფუძნება ტერმინების გამოყენების სიხშირის განსაზღვრას ზეპირ თუ წერილობით ტექსტში;
 3. ტერმინოსისტემის კვლევას მისი კონცეპტუალური ორგანიზაციისა და მისი შემადგენელი ფრაგმენტების თავისებურებათა ანალიზის გზით;
 4. ტერმინოსისტემის სტრუქტურაციას განსაზღვრული პრინციპების მიხედვით, რომლებიც იძლევა ერთეულთა შორის ლოგიკური კავშირის გამოვლენის შესაძლებლობას;
 5. ცნებათა თუ კონცეპტთა სემანტიკური მსგავსება-სიახლოვის განსაზღვრას;
 6. ტერმინოსისტემის სტრუქტურაში ენის ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებით კანონზომიერებათა გამოვლენა;
 7. კონცეპტთა შორის არსებული კავშირების ტიპების იდენტიფიცირება;
 8. სქემის სტრუქტურულ თავისებურებათა განსაზღვრა;
 9. სქემის ფრაგმენტებს შორის არსებულ მიმართებათა ტიპების დადგენა;
 10. სქემაში ფრაგმენტების ინტერგირების საფუძვლის ინტერპრეტაცია.
 - III. თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში ბიზნეს ტერმინოლოგიისათვის რელევანტური კონცეპტების ნომინაციური სიმჭიდროვისა და კომუნიკაციური რელევანტურობის ხარისხის განსაზღვრა;

IV. კონკრეტული თეორიული დასკვნების გამოტანა, თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების მსგავსება-განსხვავების გამოვლენა ბიზნეს ტერმინოლოგიის ფარგლებში განხორციელებული თარგმანის დონეზე.

ჰიპოთეზა, რომელსაც კვლევა ეფუძნება, შედგება სამი კომპონენტისაგან:

1. სავარაუდოდ, ქართულენოვანი ბიზნეს ტერმინოლოგიის სფეროში არსებული პრობლემა დაკავშირებულია ბიზნესის სფეროს განვითარებისა და აღნიშნული სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემის ჩამოყალიბების ინტენსიურობის ხარისხთა სხვაობასთან;
2. საფიქრებელია, რომ ბიზნეს კომუნიკაციის სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემის ანალიზის ერთ-ერთ ოპტიმალურ გზას წარმოადგენს ტერმინოსისტემის ძირითად კონცეპტთა კოგნიტური ინტერპრეტაცია, სხვა სიტყვებით, ვერბალიზებული ცოდნის კვლევა და იმის ახსნა, თუ როგორ უკავშირდება ენა აზროვნებას - მის ცნებობრივ (კონცეპტუალურ) სტრუქტურებსა და კატეგორიებს, მის კოგნიტურ ოპერაციებს;
3. სავარაუდოდ, ბიზნეს-ტერმინოლოგიის თემატურ განზომილებათა იდენტიფიცირებისათვის მაქსიმალურად ეფექტური შეიძლება გამოდგეს ბიზნეს სემანტიკური ველების, კლასტერებისა და სემანტიკური დომენების კონსტრუირების პრინციპები.

კვლევისათვის ფუძემდებლური აღმოჩნდა შემდეგი დებულებები:

1. ტერმინოსისტემა ტერმინოლოგიის კოგნიტური მოდელი და საგნობრივი სფეროს მეტამოდელია;
2. ბიზნესის სფეროს ტერმინოსისტემა წარმოადგენს ტერმინოლოგიური ერთეულების კორპუსს, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის სფეროსათვის შესაბამის ცნებების ნომინაციას;
3. ტერმინოსისტემა ფორმირდება გასაანალიზებელი ტერმინოლოგიის ცნებითი შემადგენლობის ეტაპობრივი დანაწევრების გზით, რაც ეფუძნება ტერმინების გამოყენების სიხშირეს ზეპირ თუ წერილობით ტექსტში;
4. ექსტრალინგვისტური თვალსაზრისით, ტერმინოსისტემის სტრუქტურა წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვათა ან სიტყვაშეთანხმებათა სისტემას;
5. ინტრალინგვისტური თვალსაზრისით, ტერმინოსისტემა ღია და დინამიური სტრუქტურაა, რომლის ელემენტებიც განიცდიან მუდმივ ცვლილებებს;

6. ტერმინოსისტემის, როგორც რთული და მყარი მთლიანობის ხედვა ეფუძნება ცნებათა ენობრივი ნიშნის ფორმაში კონსტრუირებულ და რეალიზებულ სისტემას - ლოგიკურ სქემას, რომელიც წარმოადგენს დანაწევრებული აღქმის შედეგსა და აბსტრაქციის უმაღლეს დონეს;

7. ადამიანის ფორმალური ცოდნა სამყაროზე არ არსებობს იზოლირებულად - იგი ქმნის ერთიან, სტაბილურ, კონცეპტებით დაკომპლექტებულ სტრუქტურას.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების მსგავსება-განსხვავების გამოვლენა ბიზნეს ტერმინოლოგიის ფარგლებში განხორციელებული თარგმანის ადეკვატურობისა და კომუნიკაციური ღირებულების იდენტიფიცირების გზით.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

1. ნაშრომში სინთეზირებულია კონცეპტუალური და სემანტიკური ანალიზის მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ინგლისურ და ქართულ ენებში ბიზნეს ტერმინოლოგიისათვის რელევანტური კონცეპტების მრავალგანზომილებიანი ბუნების დესკრიფციის ადეკვატურობას;

2. თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში ბიზნეს ტერმინოლოგიისათვის რელევანტური ლოგიკური ქსელის კონსტრუირების პრინციპები ვალიდურია ნებისმიერი თემატური განსაზღვრულობის მქონე კონსტრუქტის ფორმირებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს პოლიპარადიგმულობა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს ბიზნესის სფეროსათვის რელევანტური ლოგიკური ქსელის კონსტრუირებას როგორც ლინგვოკოგნიტურ, ისე სისტემურ-სტრუქტურულ თეორიათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირებას.

ნაშრომში გამოყენებულია ასევე ისეთი კონკრეტული მეთოდები, როგორცაა: დომენების კონსტრუირების, კატეგორიზაციის, აღწერის, ტრანსლაცია-ანალოგიზაციის, შედარების, კონტრასტირებისა და განზოგადების მეთოდები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტით:

1. ბიზნეს ტერმინოლოგიის, კერძოდ „ფულის“, თემატურ სივრცეში შემავალი ბიზნეს ტერმინოლოგიის სემანტიკურ ველებად დაყოფისა და სემანტიკურ დომენებად წარმოდგენის მეცნიერული პრინციპის შემუშავებას დიდი პრაქტიკული გამოყენება ექნება

- კომპიუტერულ მთარგმნელობით პროგრამებში. აღნიშნული პრინციპი მთარგმნელებს გაუადვილებს ამა თუ იმ ტერმინის რელევანტური ეკვივალენტის სწრაფად მოძიებას სათარგმნ ენაზე და ხელს შეუწყობს თარგმანის სწრაფად და ადეკვატურად შესრულებას;
2. ამავე დროს, სემენტაციის აღნიშნული პრინციპი გაუადვილებს უცხო ენის შემსწავლელს პროფესიულ-დარგობრივი ენის ათვისებას;
 3. მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკისა და სტრუქტურული ლინგვისტიკისთვის, ისე ბიზნესკომუნიკაციის, კონტრასტივიკისა და ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის;
 4. შესაძლებელი იქნება კვლევის შედეგებისა და მიღებული დასკვნების განზოგადება სხვადასხვა კონტექსტში. შესაძლებელია ის საფუძვლად დაედოს გარკვეულ პროექტებს ამ კონკრეტული მიმართულებით.

კვლევის მასალა მოპოვებულია მონოლინგვური, ბილინგვური და განმარტებითი ლექსიკონებიდან, ასევე ტექსტის ფრაგმენტებიდან.

ანალიზი ასევე ეყრდნობა ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა წყაროებიდან, ინგლისური კლასიკური ეკონომიკური ლიტერატურიდან და მათი ქართული თარგმანებიდან (ადამ სმითი, კარლ მენგერი “ეკონომიკის პრინციპები“, მენქიუ „ეკონომიკის პრინციპები“, ბლანშარი „მაკროეკონომიკა“ და სხვ.) მოძიებულ მასალას. კვლევის მასალად გამოყენებულია აგრეთვე კომერციული ინგლისური და ქართული ტექსტები ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი მედია-საშუალებებიდან.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და გამოყენებული ლიტერატურის სიასპირველი ეთმობა ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნადობა-არათარგმნადობის პრობლემას. განხილულია ბიზნეს კომუნიკაციისა და თარგმანის წარმოშობა-განვითარების ისტორია, ზოგადად თარგმანის ადეკვატურობის საკითხი, ადეკვატურობისა და ეკვივალენტურობის ცნებები კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონტექსტში.

შესავალში აღწერილია ის თეორიულ-პრაქტიკული მიზეზები, რამაც განაპირობა კვლევის დაწყება. დასაბუთებულია კვლევის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები და ამოცანები, განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგია.

თავი I ეთმობა ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნადობა-არათარგმნადობის პრობლემას. განხილულია ბიზნეს კომუნიკაციისა და თარგმანის წარმოშობა-განვითარების ისტორია, თარგმანის ადეკვატურობის საკითხი, ადეკვატურობისა და ეკვივალენტურობის ცნებები კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონტექსტში. თარგმანის როლს საერთაშორისო ბიზნეს კომუნიკაციის განვითარების საქმეში; ეკონომიკასა და ბიზნესთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ქართული ენაზე ადეკვატურად თარგმნა-გადმოღების კრიტიკულ ანალიზს.

თავი II ეთმობა კვლევის მეთოდოლოგიას. განხილულია ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნის ლინგვისტური საფუძვლები, კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამების ლინგვისტური პრობლემები, პოლისემიური მნიშვნელობის მქონე სიტყვების, სინონიმების, ჰიპონიმების, ომონიმებისა და ჰიპერნიმების თარგმნის სირთულე, როგორც კომპიუტერული პროგრამების ერთ-ერთი მთავარი ლინგვისტური პრობლემა. განხილულია აგრეთვე სემანტიკური დომენები.

თავი III ეთმობა ფუძემდებლურ დებულებებსა და სეგმენტაციის პრინციპებს, განხილულია სქემის სეგმენტაციის პრინციპები, ის დებულებები, რომელთა გათვალისწინებითაც განხორციელდა ბიზნესის სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემის ფორმირება. აღწერილია ბიზნესის სქემა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში და მოცემულია ბიზნეს-ტერმინოლოგიის თემატური სივრცის „ფული“ სეგმენტაცია.

დასკნით ნაწილში განზოგადებულია კვლევის შედეგები და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

თავი I. ბიზნეს ტერმინოლოგია და თარგმნადობა-არათარგმნადობის პრობლემა

1.1 ბიზნეს კომუნიკაციისა და თარგმანის წარმოშობა-განვითარების ისტორია

დღევანდელ გლობალურ სამყაროში შეუძლებელია საერთაშორისო თანაარსებობა კომუნიკაციის და, შესაბამისად, თარგმანის გარეშე. თარგმანის წარმოშობა-განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ვაჭრობის განვითარებას. პირველი მთარგმნელები სწორედ ვაჭრები იყვნენ, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა კომუნიკაცია შორეულ ქვეყნებთან და ამ ქვეყნებიდან სავაჭროდ ჩამოტანილი საქონლის საშუალებით მათ კულტურასთან შეხება. ასე იყო მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და ასე იყო საქართველოშიც. ინგლისში საქმიანი ტრანზაქციები რენესანსამდე რამდენიმე ასეული წლით ადრე წარმოებდა, მაგრამ თავდაპირველად მას წერილობითი ხასიათი არ ჰქონია, მეცამეტე საუკუნიდან კი უკვე წერილობითი სახე მიიღო (თომასი/Thomas, 1999. გვ.50).

თანამედროვე ინგლისური საქმიანი წერილების სტილი მეთორმეტე საუკუნის იტალიაში განვითარებული წერილის წერის წესისგან მომდინარეობს, რომელსაც დიქტამენი ეწოდებოდა და მთელ ევროპაში გავრცელდა, მათ შორის ინგლისშიც (რიჩარდსონი/Richardson, 1980. გვ. 20). იმდროინდელ ინგლისში მიღებული იყო წერილების წერა ლათინურ ან ფრანგულ ენაზე, რაც, რასაკვირველია, ყველას არ შეეძლო - ამ საქმეს კონკრეტული ადამიანები ასრულებდნენ ძირითადად სამთავრობო და საეკლესიო კარზე. მაგრამ, როდესაც 1350 წელს სამთავრობო და საეკლესიო კარს მიღმა ზოგადად ინგლისმა ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, ბიზნეს საქმიანობაში ჩართული ადამიანებისათვის აუცილებელი გახდა აღრიცხვიანობა. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა უამრავი ინგლისურენოვანი ბიზნეს დოკუმენტი - პეტიციები, ქარტიები, გარიგების ხელშეკრულებები და სხვ. (რიჩარდსონი, /Richardson, 1980. გვ. 20)

საფრანგეთთან ომის დროს ჰენრი V პატრიოტული სულისკვეთების პროპაგანდის მიზნით თავის კანცლერს ინგლისურ ენაზე წერდა წერილებს. ეს წერილები „საკანცელარიო რწმუნებანის“ სახელით არის ცნობილი (რიჩარდსონი/Richardson, 1980. გვ. 22).

მეთხუთმეტე საუკუნიდან ინგლისელი ვაჭრები ინტენსიურად აწარმოებდნენ საერთაშორისი ვაჭრობას. 1501-1502 წლისათვის ლონდონში უკვე ათასორასამდე ვაჭარი იყო, რომელთა უმრავლესობა მთელი კონტინენტის ბაზრებზე ვაჭრობდა. ამ დროიდან

მოყოლებული ინგლისელი ვაჭრები კომუნიკაციისათვის უკვე სულ მშობლიურ ენას იყენებდნენ (თომასი/Thomas,1999. გვ. 50).

საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული სხვადასხვა წარმოშობის არტეფაქტები, მათ შორის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ქვეყნის ფულის ერთეულები, უძველესი მონეტები ადასტურებს, რომ ქართველ ვაჭრებს ადრეული პერიოდიდანვე ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები ჰქონიათ უცხო ქვეყნებთან.

ვაჭრობის განვითარებასთან ერთად თანდათან საჭირო გახდა სხვა ქვეყნებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობისა და უშუალო კომუნიკაციის დამყარება. ამდენად, თავისთავად წარმოიშვა მთარგმნელებისა და თარგმანის აუცილებლობა. მთარგმნელობითი საქმიანობის ფართოდ გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ბიბლიის თარგმნას უკავშირდება. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ როგორც ძველი ისე ახალი აღთქმა სხვადასხვა ენაზე ითარგმნა. ტრადიციულად ბიბლია ძველთაგანვე ითარგმნებოდა ქართულადაც და ხელნაწერის სახით არსებობდა. ხელნაწერთა შორის ყველაზე სრულყოფილია სულხან-საბა ორბელიანის მიერ რედაქტირებული „მცხეთური ბიბლია“, რომელიც კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, ბეჭდური სახით კი 1981 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ „მცხეთური ხელნაწერის“ სახელწოდებით გამოსცა.

საქართველოში თავდაპირველად მთარგმნელობითი საქმიანობა სწორედ ბიბლიის და რელიგიური ტექსტების თარგმნას უკავშირდებოდა და რელიგიური ტექსტების თარგმნის პრაქტიკამ ჩაუყარა საფუძველი თარგმანის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას და მთარგმნელობითი პრინციპებისა და მეთოდების ჩამოყალიბებას. საქართველოში მთარგმნელობით საქმიანობა ძველთაგანვე ერთგვარი შემოქმედებითობა ახასიათებდა.

მაგრამ მეთავე საუკუნიდან უკვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თარგმანის ზუსტ შესატყვისობას დედანთან ანუ ადეკვატურ თარგმანს. როგორც კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, ქართული თარგმანის დედანთან დაახლოება თანდათანობით მოხდა.

მთარგმნელთა ეგრეთწოდებული „ათონის სკოლა“ ძველი ეპოქის მთარგმნელთა სკოლას ეკუთვნოდა და ძველ ქართულ ტრადიციებს მისდევდა. ექვთიმე მთაწმინდელი თავის თარგმანებში ნახევრად მთარგმნელის და ნახევრად ორიგინალური მწერლის როლს ასრულებდა. ექვთიმესთან შედარებით უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგა ამ

მიმართულებით გიორგი მთაწმიდელმა, მაგრამ ისიც ნაწილობრივ ძველ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს მისდევდა. გაცილებით პროგრესული იყო „ შავი მთის სკოლა“ და მისი ხელმძღვანელი ეფრემ მცირე. როგორც კორნელი კეკელიძე აღნიშნავს: „ეფრემის მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ ქართულ საზოგადოებაში განხეთქილება გამოიწვია, ის ორ ბანაკად გაყო მან: ერთ მხარეზე იყვნენ ეფრემის თანამოაზრე პროგრესისტები, მეორეზე - კონსერვატიული პარტია, ძველი ტრადიციების მოთაყვანენი, რომელთაც ეფრემის მოღვაწეობა და ის ახალი მიმართულება, რომელიც მან მთარგმნელობაში დაამკვიდრა, იმდენად ეხამუშებოდათ, რომ მას ექვთიმესა და გიორგის უპატივცემულობას, მეტიჩრობასა და მწვალებლობასაც კი სწამებდნენ“ (კეკელიძე, 1980, ტ. I, გვ. 61).

სიტყვა „თარგმანი“ ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „იგავიანი სიტყვის გაცხადებას“ ნიშნავს (ორბელიანი, 1928. გვ.137). როგორც მეოცე საუკუნის ცნობილი ქართველი მთარგმნელი და თეორეტიკოსი გივი გაჩეჩილაძე აღნიშნავს, ქართული თარგმანის ისტორიული პრაქტიკა სავსებით ნათელს ხდის ამ განმარტების აზრს. ისტორიულად „თარგმანში“ იგულისხმებოდა ის, რასაც დღეს განმარტებას, გაგებას, ინტერპრეტაციას ვუწოდებთ (გაჩეჩილაძე, 1958, გვ. 10).

ბოლო ხანს თარგმანისა და ინტერპრეტაციის (translation, interpretation) თეორიული ჩარჩოები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად თარგმანი არის „ერთი ენიდან მეორეზე გადაღებული ტექსტი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986. გვ. 238).

როგორც აღვნიშნეთ, ზოგადად, თარგმნა ერთ ენაზე გამოხატული აზრის მეორე ენაზე გადატანას, ერთი ენის მეორეთი შეცვლას ნიშნავს. ინგლისური სიტყვა “translation” ლათინური სიტყვიდან “translatio”-დან წარმოსდგება, “translatio” გადმოტანას ნიშნავს. ეს სიტყვა ინგლისურ ენაში პირველად XIV საუკუნეში შემოვიდა ხმარებაში (<https://www.merriam-webster.com/dictionary/translation>). მისი ბერძნული შესატყვისია „მეტაფრაზა“, რაც თანამედროვე გაგებით „ფორმალურ შესატყვისობას“ ანუ სიტყვასიტყვით გადატანას ნიშნავს, ხოლო „პარაფრაზა“ „დინამიურ შესატყვისობას“. იდეალურ შემთხვევაში სასურველია ფორმისა და დინამიკის შერწყმა ისე, რომ თარგმანში არაფერი არ დაიკარგოს. მაგრამ როდესაც მთარგმნელს ორ სრულიად განსხვავებულ ენასთან, და არა

მხოლოდ ენასთან, არამედ ორ სრულიად განსხვავებულ კულტურასთან აქვს საქმე, შესაძლებელია თუ არა არსებობდეს თეორია, რომელიც ასეთ თარგმანს უზრუნველყოფს? როგორც ამერიკელი ფილოსოფოსი უილარდ ფონ ორმან კუაინი (1960) ამბობს:

ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სახელმძღვანელოები შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს შედგენილი; ყოველი მათგანი შეიძლება მთლიანობაში თავსებადი იყოს სამეტყველო დისპოზიციებთან, მაგრამ ამავე დროს შეუთავსებელი იყოს ერთმანეთთან. მრავალ შემთხვევაში ისინი განსხვავებული იქნება მის გამო, რომ ისინი ისეთ წინადადებებს მიიჩნევენ ერთი ენიდან მეორეზე შესატყვისად თარგმნილ წინადადებებად, რომლებიც ეკვივალენტურობის თვალსაზრისით ერთმანეთს არ შეესაბამება (კუაინი/Quine, გვ. 27).

1.2 თარგმანის ადეკვატურობის საკითხი

თარგმნა შემოქმედებითი პროცესია, შემოქმედობითობა კი თვითონ ადამიანის შინაგანი უნარია. შეიძლება ზოგადი პრინციპების შემუშავება, მაგრამ მზა რეცეპტის არა, თუმცა თარგმანში დედნის დედააზრისა და ფორმის ეკვივალენტურად გადმოცემა ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვასიტყვითი და თვისუფალი თარგმანი თავიდანვე დაუპირისპირდა ერთმანეთს, თუმცა თანდათან უპირატესობა ადეკვატურ თარგმანს მიენიჭა. თარგმანის ადეკვატურობა გულისხმობს, რამდენად ეკვივალენტურია თარგმანი დედანთან მიმართებაში. დღევანდელი გადასახედიდან ადეკვატური თარგმანი არა მარტო ტექსტის ზუსტ ტრანსლირებას გულისხმობს არამედ კულტურულ კონტექსტთა გათვალისწინებასაც. აქედან გამომდინარე, მთარგმნელისთვის ორივე ენის - (ორიგინალის და სამიზნე) სტრუქტურულ თავისებურებათა ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თარგმანის ეკვივალენტურობის საკითხი დიდი ხანია მთარგმნელთა და თარგმანის თეორეტიკოსთა მსჯელობის საგანია.

არისტოტელეს სიტყვებით, „წარმოთქმული სიტყვები არის მენტალური განცდის გამოხატულება, დაწერილი სიტყვები კი წარმოთქმული სიტყვების გამოხატულება. ყველა ადამიანი ვერც ერთნაირად დაწერს და ვერც ერთნაირ ბგერებს წარმოთქვამს,

მაგრამ მენტალური განცდები, რასაც ესენი პირდაპირ გამოხატავენ, ყველასთვის ერთი და იგივეა, ისევე როგორც ის საგნები რომელიც ჩვენს განცდებში აისახება.“ (Retrieved March 2, 2016, from <http://classics.mit.edu//Aristotle/interpretation.html>).

ამგვარად, არისტოტელეს თანახმად ტექტის ანუ სიტყვის ზუსტად ერთნაირად წარმოთქმა და დაწერა შეუძლებელია, მაგრამ „მენტალური განცდა“ ანუ ერთნაირად გააზრება შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით თარგმანს და თვითონ თარგმნის პროცესს, აქ მთავარია აზრის გაგება, ჩაწვდომა და შესაფერისი ფორმით ანუ ადეკვატურად გადმოტანა ერთი ენიდან მეორეზე, რაც იმას გულისხმობს, რომ ადეკვატური თარგმანის უზრუნველყოფა მხოლოდ მნიშვნელობისა და აზრის ერთიანობის გადმოცემით არის შესაძლებელი. მაგრამ რამდენად შესაძლებელია აზრის სწორად გაგება ერთ ენაზე და მისი მეორე ენაზე ეკვივალენტურად გადატანა, ანუ რამდენად შესაძლებელია დედნიდან ყველაფრის ზუსტად გადმოცემა თარგმანში?

ამერიკელი ფილოსოფოსის, კუაინის (1960) თანახმად, თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე იოლია, თუ ეს ენები ერთი ძირიდან წარმოებულ სიტყვებს შეიცავს, ან ამ ენებს შორის გარკვეული ტრადიციული კულტურული მსგავსებაა. მაგრამ არსებობს ყოვლად განსხვავებული ენები, სადაც არანაირ მსგავსებაზე არ შეიძლება საუბარი. იმ ენებს შორის თარგმანს, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ, იგი „რადიკალურ თარგმანს“ უწოდებს (გვ. 28).

ხოლო დ. დავიდსონი ყურადღებას ამახვილებს ინტერპრეტაციის პრობლემებზე, როგორც მშობლიურ ისე უცხო ენასთან მიმართებაში და ვრცლად მიმოიხილავს ინტერპრეტაციის თემას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებსა თუ ფაქტორებს. განსხვავებულ ენათა ურთიერთმიმართებას, მათ თარგმნასა და ინტერპრეტაციას იგი „რადიკალურ ინტერპრეტაციას“ უწოდებს (დავიდსონი/Davidson, 2001. გვ. 123-125).

ჰუმბოლდტის აზრით კი, “ რაც უფრო დიდია მცდელობა, რომ თარგმანი ზუსტი იყოს, საბოლოოდ მით უფრო სცილდება ის დედანს, რადგან დახვეწილი ნიუანსების გადმოცემისა და უბრალო განზოგადებათა თავის არიდების მცდელობაში შესაძლებელია ფაქტიურად სულ ახალი და განსხვავებული ნიუანსები მივიღოთ.“ (Retrieved March 2, 2016, from http://courses.logos.it/EN/3_15.html).

ოქტავიო პასი (2002) ნებისმიერ თარგმანს თარგმანის თარგმანს უწოდებს:

„ თითოეული ტექსტი უნიკალური, მაგრამ ამავე დროს მეორე ტექსტის თარგმანია, ესე იგი, არც ერთი ტექსტი არ არის აბსოლუტურად ორიგინალური, ვინაიდან მეტყველება თავისი არსით უკვე თარგმანია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ არამეტყველი სამყარო ჯერ სიტყვებად უნდა ითარგმნოს, მეორეც იმიტომ, რომ თითოეული ნიშანი და თითოეული ფრაზა სხვა ნიშნისა და სხვა ფრაზის თარგმანს წარმოადგენს.“ (პასი/Paz.გვ.10).

ყოველი ენა, ყოველი კულტურა მეტად თუ ნაკლებად განსხვავებულია მეორე ენისაგან. მაგრამ მორის ბლანშოს (2002) აზრით, თარგმანის ამოცანა ის კი არ არის, რომ ენათა და კულტურათა შორის განსხვავება წაშალოს, არამედ პირიქით: „თარგმანი ამ განსხვავების ხორცშესხმას წარმოადგენს. იგი ამაში ხედავს თავის უზენაეს დანიშნულებას და ამავე დროს, დაუძლეველ ცდუნებასაც, როცა სიამაყით აღვსილი ორ ენას აკავშირებს, მისთვის დამახასიათებელი ძალმოსილებით და ამით ჰერაკლეს გვაგონებს, ოდესღაც ზღვის ნაპირებს რომ კრავდა.“ (ბლანშო/Blanchot. გვ. 22-28].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდესაც საქმე ორ მონათესავე ენას ეხება, თარგმნა შედარებით იოლია, რასაც ის ფაქტი განაპირობებს, რომ ძირითადი ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, რადგან სიტყვებს ერთნაირი ძირი აქვს. შედარებით იოლია თარგმნა აგრეთვე მსგავსი კულტურების შემთხვევაში.

ქართული ენა თავისი კულტურითა თუ დამწერლობით ისეთ ენათა რიგს მიეკუთვნება, რომელიც სრულიად განსხვავდება ყველა სხვა ენისაგან - განსაკუთრებულად გამორჩეულია ყველა ენისგან. ალბათ ამიტომ იყო, რომ ძველად ქართველი მთარგმნელები თავს არიდებდნენ სიტყვასიტყვით თარგმნას და ტექტებს ქართული კულტურისთვის მისაღები ფორმით თარგმნიდნენ. როგორც კორნელი კეკელიძე (1951) აღნიშნავს, ძველ ქართულ თარგმანებში მთარგმნელებს ერთგვარი შესწორებები შეჰქონდათ, სიტყვა-სიტყვით კი არ თარგმნიდნენ, არამედ თავისუფლად და თავისებურად, საკუთარი ეკლესიის შეხედულებებისა და ტრადიციების შესაბამისად ავრცობდნენ ან ამოკლებდნენ და ზოგიერთ ადგილას ცვლიდნენ კიდევაც. „ამ გზით ზოგიერთ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელები იძლეოდნენ არა წმინდა თარგმანს რომელიმე თხზულებისას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ ახალ რეცენზიას ან რედაქციას ამ თხზულებისა.“ (გვ. 56)

ეს ალბათ იმ გარემოებითაც იყო განპირობებული, რომ მთარგმნელები არამარტო კულტურულ-ენობრივ განსხვავებას აწყდებოდნენ ტექსტის თარგმნისას, არამედ რელიგიურსაც. ამგვარად, ქართული თარგმანი ხშირად ორიგინალურ ნაწარმოებს ემსგავსებოდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა დედნის დამახინჯებას. დედააზრი მუდამ შენარჩუნებული იყო. როგორც კორნელი კეკელიძე (1951) წერს: „მთავარი არსებითი მხარე დედნისა, როგორც იდეური, ისე მხატვრული, თარგმანში გადმოდიოდა, ან ეფრემ მცირის გამოთქმა, რომ ვიხმაროთ, „თარგმანი მასვე პირსა იტყოდა,“ რაც დედანში იყო მოცემული“ (ტ. VII, გვ. 172).

საქართველოში თარგმანის ეკვივალენტურობას და სიზუსტეს ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა. ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში ცნობილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ, მთარგმნელმა და ფილოსოფოსმა ეფრემ მცირემ თარგმანის საკუთარი თეორია შექმნა, რომელიც შემდგომი პერიოდის მთარგმნელობითი საქმიანობის საფუძველი გახდა. ეფრემი მოითხოვდა დედნის ზუსტად თარგმნას, ყოველგარი შემოკლებისა და განვრცობის გარეშე, მაგრამ სიტყვა-სიტყვით თარგმნის წინააღმდეგი იყო. ეფრემი ცდილობდა დიდი სიზუსტით გადმოეტანა უცხო (ბერძნული) ტექსტი ქართულად, მაგრამ თუ ქართულში შესატყვის სიტყვას ვერ იპოვიდა, ბერძნული სიტყვა პირდაპირ გადმოჰქონდა.

მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე ქართველი მწერლების ერთი ნაწილი დიდ წინააღმდეგობას უწევდა ქართულ ენაში უცხო სიტყვების შემოღებას. ისინი ცდილობდნენ თვითონ შეექმნათ სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის შესატყვისი ქართული სიტყვები, მათ შორის ეკონომიკასა და ბიზნესშიც. რასაკვირველია, ასე შედგენილი ქართული ტერმინოლოგიური ეკვივალენტების უმრავლესობა ენაში ვერ დამკვიდრდა, თუმცა ზოგიერთი მათგანი დღემდე შემორჩენილია და უცხოური ტერმინის პარალელურად იხმარება. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ ალებ-მიცემობასა და გარიგებით სამართალს ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს და შესბამისი ტერმინოლოგიაც ადრეული პერიოდიდან არსებობს. აქედან გამომდინარე, უხეში და მოუხერხებელი ახალი ლექსიკური ფორმების შეთხზვის ნაცვლად ზოგჯერ შეიძლებოდა ადეკვატური ძველი ქართული სიტყვების მოძიება, მაგალითად სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონიდან. მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ იქ, სადაც ქართული შესატყვისის ძებნა უშედეგო იყო,

უმჯობესი იქნებოდა უცვლელად გადმოეღოთ ესა თუ ის უცხოური ტერმინი. თვითონ ილია თამამად ცდილობდა ახალი ტერმინოლოგიის შემოღებას და დამკვიდრებას ქართულ ენაში.

ზოგიერთ მთარგმნელსა და თეორეტიკოსს დასაშვებად მიაჩნდა ინტერპრეტაცია, ტექსტის განვრცობა. მეოცე საუკუნის მთარგმნელი და თეორეტიკოსი გ. გაჩეჩილაძე (1958) აღნიშნავს: „საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველ თარგმანში მოსალოდნელია ტექსტის განვრცობა, ვიდრე შემოკლება, თუკი მთარგმნელს სურს ზედმიწევნით გადმოსცეს დედნის აზრი. განვრცობილ თარგმანთა არსებობა მხოლოდ მკითხველის მოთხოვნილებით არ აიხსნება, არამედ ხშირად სხვადასხვა ენათა ურთიერთმიმართების ბრალია“ (გვ.15).

თარგმანის ეკვივალენტურობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეცნიერო და სპეციალური ტექსტების თარგმნისას, სადაც აუცილებელია ტერმინოლოგიური სიზუსტის დაცვა. ჯ. ქეთფორდი (1965) თარგმანის ეკვივალენტურობაზე მსჯელობისას ტექსტობრივ ეკვივალენტურობასა და ფორმის შესაბამისობას გამოყოფს (ქეთფორდი/Catford. გვ. 27). სამეცნიერო და სპეციალური ტექსტების თარგმანის ეკვივალენტურობა უმთავრესად ფორმის შესაბამისობის დონეზე უნდა განვიხილოთ, სადაც მთავარ როლს სემანტიკური შესაბამისობა ასრულებს. ქართული ენა სრულიად განსხვავდება ინგლისური ენისგან. შესაბამისად, სამეცნიერო და სპეციალური ტექსტების ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნა საკმაოდ დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული.

სამეცნიერო ლიტერატურისა და მხატვრული ლიტერატურის თარგმნა სხვადასხვა მიდგომას საჭიროებს. ის პრინციპი, რომ თარგმანი შინაარსობრივ-იდეურად მაქსიმალურად ახლოს უნდა იყოს დედანთან, ორივე ტიპის თარგმანისათვის საერთოა, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანისათვის ეს საკმარისი არ არის. სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თარგმანის სიზუსტეს, სადაც რამდენიმე მიმართულება იკვეთება, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი საკითხია ტერმინოლოგიის თარგმნის საკითხი, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სამეცნიერო ლიტერატურა ყველა სხვა სახის ლიტერატურისგან ტერმინოლოგიით გამოირჩევა. ნიუმარკის (1988) აზრით, სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნისას მთარგმანელები ცდილობენ რაღაც მისტიკური ელფერი შესძინონ თავიანთ პროფესიონალიზმს და თავს არიდებენ აღწერილობით

ტერმინებს იქ, სადაც სამიზნე ენაზე რაიმე სპეციალური ტერმინი არსებობს. სპეციალური ტერმინი მუდამ უფრო ზუსტია, ვიდრე აღწერილობითი ტერმინი (ნიუმარკი/Newmark. გვ. 154). როგორც ნიუმარკი (1988) აღნიშნავს:

პროფესიულ მთარგმნელთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ნეოლოგიზმების თარგმნაა. გამუდმებით მიმდინარეობს ახალი ტექნოლოგიური საგნებისა თუ პროცესების გამოგონება. უმრავლესობას გარკვეული საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლოა ერთი კონკრეტული მნიშვნელობა ჰქონდეს და კონტექსტის მიხედვით ითარგმნოს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი სხვა ენაზე სხვა მნიშვნელობას იძენს. ნეოლოგიზმები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ახლად წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულები ან არსებული ლექსიკური ერთეულები, რომელიც ახალ მნიშვნელობას იძენს. საერთოდ, ადამიანებს მოსწონთ ნეოლოგიზმები და ზოგადად ამ ფაქტის მედია და კომერციულ ინტერესებში გამოყენება ხდება. საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ თავიანთი სავაჭრო სახელები რეკლამაში ეპონიმიზაციად და აკრონიმიზაციად გამოიტანონ, რაც ხშირად მათი თარგმნის შესაძლებლობას ზღუდავს (ნიუმარკი/Newmark. გვ.139).

ნიუმარკი (1988) თორმეტი სახის ნეოლოგიზმს გამოყოფს:

ძველი სიტყვები ახალი მნიშვნელობით; ახლად წარმოქმნილი სიტყვები; ნაწარმოები სიტყვები; აბრევიატურები; ეპონიმიზები; ფრაზალური სიტყვები; გადმოტანილი სიტყვები; აკრონიმიზები; ფსევდო-ნეოლოგიზმები. მისივე სიტყვებით ორიგინალში შესაძლოა სულ ცოტა 18 სახის ისეთი სიტყვა შეგვხვდეს, რომლის შესატყვისიც სამიზნე ენაზე არ მოიძებნება, მათ შორისაა ნეოლოგიზმები, სხვადასხვა დიალექტის, კილოს და სპეციფიკური ენისთვის დამახასიათებელი სიტყვები, კოლოქვიალიზმები, ჟარგონი და ტაბუდადებული სიტყვები, მესამე ენიდან ან სამიზნე ენიდან ორიგინალის ენაში შემოჭრილი სიტყვები, ახალი ან მოძვეებული გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული ტერმინები და მათი ალტერნატიული სახელწოდებანი, პატარა სოფლების, რაიონების, ნაკადულების, გორაკების, ქუჩების სახელები. გაურკვეველი პირების სახელები, ბრენდების სახელები, დაპატენტებულ გამოგონებათა სახელები, სასაქონლო ნიშნები, ახალი ან უმნიშვნელო დაწესებულებათა სახელები, კორექტურული შეცდომები, ორთოგრაფიული

შეცდომები, განსაკუთრებით საკუთარი სახელების არასწორი ტრანსლიტერაცია, არქაიზმები, კოდური სიტყვები (ნიუმარკი/Newmark. გვ. 176).

უცხოურ ენებზე წარმოქმნილ ტერმინთა სამიზნე ენაზე გადმოტანის პრობლემა დიდი ხანია მეცნიერთა დისკუსიის საგანია, მათი თარგმნადობა-არათარგმნადობის პრობლემებზე მსჯელობა დღესაც აქტუალურია.

1.3 ადეკვატურობისა და ეკვივალენტურობის ცნებები კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონტექსტში

თარგმნადობის/არათარგმნადობის პრობლემაზე მსჯელობისას განსაკუთრებით აქტუალურია თარგმანის ადეკვატურობის, სიზუსტისა და სისრულის ცნებები. არათარგმნადობის თვალსაზრისის თანახმად, ერთი ენიდან მეორეზე სრულფასოვანი თარგმანის შესრულება შეუძლებელია სხვადასხვა ენების გამომსახველობით საშუალებათა შორის არსებული განსხვავების, ენათა წყობის განსხვავებულობის გამო. თუ თარგმანს განვიხილავთ ენათმეცნიერების პოზიციიდან, დავინახავთ, რომ ორიგინალისა და თარგმანის შინაარსის სრული იდენტურობა ფაქტობრივად შეუძლებელია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ნებისმიერი ტექსტის ენობრივი თავისებურებები, შინაარსის ორიენტირებულობა გარკვეულ ენობრივ ერთობაზე, მხოლოდ მისთვის ტიპური „ფონური“ ცოდნითა და კულტურულ-ისტორიული თავისებურებებით შეუძლებელია „ხელახლა პროდუცირდეს“ აბსოლუტური სისრულით სხვა ენაზე.

თანამედროვე ლინგვისტიკა განიხილავს თარგმანს, როგორც ინტერლინგვისტურ და ინტერკულტურულ კომუნიკაციას, რომელიც მიმართულია ორიგინალის კომუნიკაციური ეფექტის ტრანსპოზიციაზე თარგმანში. ბუნებრივია, ამ პროცესში იკვეთება ორ ენასა და კულტურას შორის არსებული სხვაობა.

მოკლედ განვიხილოთ მთარგმნელობითი ეკვივალენტობის რამდენიმე კონცეფცია:

ა) ფორმალური შესატყვისობის კონცეფცია

აღნიშნული კონცეფციის თანახმად, შეიძლება ყველაფრის იმის გადმოცემა, რაც ექვემდებარება გადმოცემას. ფორმალური შესატყვისობის კონცეფციისთვის

დამახასიათებელია თარგმნის პროცესში ამოსავალი ენის ყველა ელემენტის მნიშვნელობისა და მნიშვნელოვნების გათანაბრება მიუხედავად მათი ფუნქციებისა.

ენის ნებისმიერი ერთეული ატარებს რეალურ ინფორმაციას საგნებზე, მოვლენებსა და სიტუაციებზე. გარდა ამისა, ენობრივი ერთეული შეიძლება ატარებდეს ინფორმაციას საკუთარი ენისა და ენობრივი კოდის სტრუქტურაზე, რომელსაც მიეკუთვნება იგი. აშკარაა, რომ ენობრივი ერთეულების დანიშნულება გულისხმობს მათ მიერ პირველადი ინფორმაციის გამოხატვას. ასევე ენობრივ ერთეულთა ფუნქციაა, მისცენ ადამიანებს ინფორმაციის ერთმანეთში გაცვლის საშუალება დენოტატურ რეალობაში. აღნიშნულ ფუნქციათა გათვალისწინებით, ინფორმაცია ენობრივი ერთეულების წყობის შესახებ გადადის მეორე პლანზე.

ბ) ნორმატიულ-შინაარსობრივი შესატყვისობის კონცეფცია

აღნიშნული კონცეფციის თანახმად, მთარგმნელი ცდილობს გადმოსცეს ამოსავალი ენის შინაარსის ყველა არსებითი ელემენტი და დაიცვას თარგმანის ენის ნორმები.

ამ კონცეფციის ფარგლებში ეკვივალენტურობა წარმოადგენს სათარგმნი ტექსტის ორი, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მახასიათებლის - შინაარსის და ნორმატიულობის დამაბალანსებელ კორელაციას (თანაფარდობას).

ნორმატიულ - შინაარსობრივი (ფაქტობრივი) შესატყვისობის კონცეფციის მომხრეები ცდილობდნენ, გადაელახათ სიტყვასიტყვითი თარგმანისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები, კერძოდ კი, აღქმის სირთულე, ენის არაბუნებრივობა, რომელიც გამოწვეულია თარგმანის ენისთვის არატიპური გრამატიკული კონსტრუქციების და გამოთქმების გამოყენებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნორმატიულ - შინაარსობრივი შესატყვისობის კონცეფცია შორს არის სრუყოფილებისაგან. ფაქტია, რომ სათარგმნი ენის ნორმების დაცვა არ წარმოადგენს მთარგმნელობითი ეკვივალენტურობის უზრუნველყოფის უნივერსალურ პირობას.

გარდა აღნიშნულისა, შინაარსის საგნობრივ-ლოგიკური ზუსტი ასახვა ყოველთვის არ არის ეკვივალენტური თარგმანის აუცილებელი პირობა, რადგანაც ხშირ შემთხვევებში ტექსტის ფუნქცია არ მდგომარეობს მასში ჩადებული საგნობრივ-ლოგიკური ინფორმაციის გადმოცემაში.

„შინაარსის“ ფართო და ბუნდოვან ცნებას სრულიად კანონზომიერად შეიძლება მივაკუთნოთ არა მხოლოდ საგნობრივ - ლოგიკური სიტუაცია, არამედ ემოციონალურ - შეფასებითი და სტილისტური ელემენტიც - ყველაფერი, რაც ზემოქმედებას ახდენს ადრესატის ცნობიერების რაციონალურ და ემოციონალურ სფეროებზე.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ განხილული კონცეფცია ეფექტურია მთარგმნელობით პრაქტიკაში მთელი რიგი კონკრეტული შემთხვევებისათვის, იგი მაინც ვერ განმარტავს მთარგმნელობითი ეკვივალენტობის ყველა შესაძლო შემთხვევას.

გ) ადეკვატური (სრულყოფილი) თარგმანის კონცეფცია

აღნიშნული კონცეფციის ფარგლებში სრულყოფილი თარგმანის განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს ამოსავალი ტექსტის შინაარსის ამომწურავი გადმოცემა (სხვადასხვა ენაზე გადმოცემული ინფორმაციის გაიგივება); და შინაარსის გადმოცემა ტოლფასი ენობრივი საშუალებებით.

ფრაზაში „ტოლფასი ენობრივი საშუალებები“ იგულისხმება არა ამ საშუალებების მსგავსება სტრუქტურულ - ფორმალურ დონეზე, არამედ მათი ფუნქციონალური ეკვივალენტურობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთარგმნელმა თარგმნის პროცესში უნდა გამოიყენოს ისეთი ენობრივი საშუალებები, რომლებიც ასრულებენ ორიგინალის ტექსტის ენობრივი საშუალებების ანალოგიურ გამომსახველობით ფუნქციას. ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების ენობრივი საშუალებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს ფორმალურ-სტრუქტურული და ლექსიკური თვალსაზრისით.

თარგმანი, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, ითვლება ორიგინალი ტექსტის სრულყოფილ ანუ ადეკვატურ თარგმანად.

აღნიშნული კონცეფციის თანახმად, თარგმანის სრულფასოვნება დედნისთვის სპეციფიკური შინაარსის და ფორმის გადმოცემაა ამ უკანასკნელის თავისებურებათა ასახვის გზით, ან ამ თავისებურებათა ფუნქციონალური შესატყვისების შექმნით. ეს გულისხმობს ისეთ ენობრივ საშუალებათა გამოყენებას, რომლებიც ხშირად თავიანთი ფორმალური ხასიათით დედნის ელემენტებს არ ემთხვევიან და ანალოგიურ გამომხატველობით ფუნქციას სისტემაში - მთლიანობაში ასრულებენ. ამდენად, სრულფასოვნების ცნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თანაფარდობის გადმოცემა, რომელშიც ნაწილი, ცალკეული ელემენტი ან ტექსტის მონაკვეთი მიეკუთვნება მთლიანს.

კონცეფციას საფუძვლად უდევს ამოსავალი ტექსტის ყველა ელემენტის დაყოფა შინაარსისა და მისი გამოსახვის საშუალებებად. ერთი შეხედვით, ამგვარი დაყოფა ძალიან ბუნებრივად გამოიყურება, თუმცა თუკი ყურადღებით განვიხილავთ ამ პრობლემას, ორ ცნებას შორის - „შინაარსსა“ და „საშუალებებს“ შორის საკმარისად მკვეთრი ზღვარი არ იქნება.

თუ ცნებას „შინაარსი“ განეკუთვნება მხოლოდ ობიექტები და მათ შორის მიმართება (საგნობრივ-ლოგიკური შინაარსი), მაშინ ძალაში რჩება შემდეგი კრიტიკული შენიშვნა: თუ „შინაარსად“ მივიჩნევთ ტექსტის ყველა ელემენტს, რომელსაც ითვსებს ტექსტის რეცეპტორი და რომელიც ზემოქმედებს მასზე, მაშინ „შინაარსში“ შევა ტექსტის ყველა ის ელემენტი, რომელიც განეკუთვნება „საშუალებების“ ჯგუფს. „საშუალებების“ ჯგუფში დარჩება მხოლოდ ის ელემენტი, რომელიც სრულიად „გამჭირვალეა“, არ ფიქსირდება ტექსტის რეცეპტორის მიერ და არ ზემოქმედებს მასზე.

კონცეფციაში ხდება ფუნქციონალურობის ცნების არათანმიმდევრული გამოყენება. როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს, ფუნქციონალური ხასიათი გააჩნია არა მხოლოდ ენობრივ საშუალებებს, არამედ შინაარსსაც და ეს გარემოება გათვალისწინებულია თარგმნის პროცესში: ზოგჯერ ტექსტის ერთეულების „გაცვლა“ ხდება არა შინაარსის, არამედ ფუნქციის მიხედვით. დედნისთვის სპეციფიკური შინაარსის და ფორმის თანაფარდობის გადმოცემისას, ადეკვატური (სრულყოფილი) თარგმანის კონცეფცია არასაკმარისად ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ თარგმანის დროს შინაარსი და ფორმა შედიან ერთმანეთთან კონფლიქტში. ამ კონფლიქტის მოგვარება კი შესაძლებელია მოდიფიკაციების საშუალებით. ეს კი, თავის მხრივ, ითხოვს თარგმანის ეკვივალენტურობის თეორიულ კონცეფციაში ტექსტის ელემენტების იერარქიის ცნების შემოტანას. იერარქიაზე დაყრდნობით მთარგნელს უნდა შეეძლოს იმის განსაზღვრა, თუ ტექსტის რომელი ელემენტები უნდა გადმოსცეს ზუსტად, რომელი შეიძლება შეცვალოს ან უგულებელყოს.

დინამიკური (ფუნქციონალური) ეკვივალენტობის კონცეფცია დინამიკური ეკვივალენტურობის ცნება პირველად გამოყო იუჯინ ნაიდამ (1964). იგი გვთავაზობს ძალზე საინტერესო დიფერენციაციას და ხაზს უსვამს ორ გარემოებას (ნაიდა/Nida. გვ. 114-128): ა) როდესაც შინაარსი დომინირებს ფორმაზე და ბ) როდესაც ფორმალური მახასიათებელი უფრო მნიშვნელოვანია შინაარსზე.

აქედან გამომდინარე, სწორედ მას ეკუთვნის ტერმინები - ფორმალური ეკვივალენტურობა და დინამიკური ეკვივალენტურობა. მკვლევარის თვალსაზრისში ლაპარაკია ერთი ენის მატარებელი და ამოსავალი ენის მიმღების და მეორე ენის მატარებელი თარგმნილი ტექსტის მიმღების რეაქციათა თანხვედრაზე. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, შინაარსი, რომელიც აუცილებლად უნდა გადმოიცეს, შედგება ოთხი ელემენტისგან: დენოტატიური, სინტაქსური, კონოტაციური და პრაგმატული მნიშვნელობებისაგან.

თარგმანის ფუნქციონალური ადეკვატურობის კონცეფცია ეფუძნება ტექსტის ფუნქციონალური ადეკვატურობის ცნებას, რომელიც უნდა დაკონკრეტდეს. ტექსტის ცალკეული კომუნიკაციური ფუნქციების შინაარსობრივი ინტერპრეტაციის სახით. რაც უფრო კონკრეტულია კომუნიკაციური ფუნქციის ცნების მნიშვნელობა, მით უფრო მეტი რაოდენობის ფუნქცია შეიძლება იქნას დადგენილი და მით უფრო შინაარსიანი იქნება თითოეული მათგანის ლინგვისტური დახასიათება. კონკრეტულობის მოცემულ დონეზე კომუნიკაციური ფუნქციების სისტემის გამოვლენა შეიძლება განხორციელდეს კომუნიკაციის ზოგადი თეორიის პოზიციიდან.

ტექსტის ადეკვატურობის ზოგადი ცნება გამომდინარეობს ვერბალური კომუნიკაციის ფუნქციონალური ანალიზიდან. როგორც ცნობილია, კომუნიკაციის სამ ძირითად კომპონენტს შეესაბამება ფუნქციონალურ-პრაგმატული დახასიათებების შემდეგი სამი ტიპი: ინფორმაციის გადამცემის მიზანდასახულობა - კომუნიკაციური ინტენცია; ამ ინტენციების რეალიზაცია ინფორმაციის შინაარსსა და გაფორმებაში; ინფორმაციის მიმღების რეაქციები - კომუნიკაციური ეფექტები.

ტექსტის პრაგმატული ადეკვატურობის ცნება გამომდინარეობს იქიდან, თუ რამდენად შეესაბამება იგი ინფორმაციის გამგზავნის ინტენციას, ხოლო ასეთი ადეკვატურობის კრიტერიუმებად გვევლინება კომუნიკაციური ეფექტები. კომუნიკაციის თეორიაში გამოიყოფა ტექსტის კომუნიკაციური ფუნქციის ოთხი ძირითადი ტიპი, რომელთაც შეესაბამება პრაგმატული ადეკვატურობის ოთხი ძირითადი კატეგორია.

ამრიგად, ტექსტი ინფორმაციულად ადეკვატურია, თუ ის შესაბამისობაშია გამგზავნის კომუნიკაციურ ინტენციასთან, იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს ადრესატის ცოდნის ცვლილება. ტექსტს უნდა გააჩნდეს ინფორმაციული სიახლის ხარისხი, ადრესატისათვის საკმარისი დამაჯერებლობა და სანდოობა. ტექსტი ადეკვატურია იმ შემთხვევაშიც, თუ ის

შესაბამისობაშია გამგზავნის კომუნიკაციურ ინტენციასთან, იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს ცვლილებები შეხედულებების სისტემაში, შეფასებაში, ინფორმაციის ადრესატის ემოციონალურ სფეროში. ტექსტი ადეკვატურია იმ შემთხვევაშიც, თუ გამგზავნის კომუნიკაციური ინტენციის შესაბამისად იწვევს ცვლილებებს მისი ადრესატის ქცევაში. და ბოლოს, ტექსტი ადეკვატურია, თუ გამგზავნის კომუნიკაციური ინტენციის შესაბამისად, იგი იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს ცვლილებები ინფორმაციის ადრესატის ცოდნაში, მის მიერ შესაძლო ქცევითი რეაქციების ვარიანტებიდან ერთ-ერთის შერჩევაში. ტექსტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ადრესატის გარკვეული ცოდნის, მისი სემიოტიკურად განპირობებული ქცევის მოსაწესრიგებლად და დასარეგულირებლად. ამრიგად, ფუნქციონალურ-პრაგმატული ადეკვატურობის ცნება გამომდინარეობს თარგმანის, მისი გამგზავნის კომუნიკაციური ინტენციის თანაფარდობის შეფასებიდან, რომელიც რეალიზებულია ორიგინალის ტექსტში. თუ თარგმანის ხარისხის იმ კრიტერიუმების შემუშავება და პრაქტიკული გამოყენება, რომელიც ეყრდნობა სემანტიკურ-სტილისტური ადეკვატურობის კონცეფციას, წარმოადგენს ლინგვისტურ პრობლემას, რომლის გადაჭრა ხორციელდება თარგმანის ლინგვისტური თეორიის საშუალებით, მაშინ თარგმანის ხარისხის კრიტერიუმების შემუშავება და გამოყენება, რომელიც დაფუძნებულია ფუნქციონალური ადეკვატურობის კონცეფციაზე, წარმოადგენს ლინგვო-პრაგმატიკულ პრობლემას, რომლის გადაჭრაც შესაძლებელია კომუნიკაციის თეორიის საშუალებით. თარგმანის ეკვივალენტობის მიღწევა წარმოადგენს მთარგმნელის მიზანს. მიზანი კი განსაზღვრავს სუბიექტის მოქმედების ხერხებს და ხასიათს. ამიტომ ადეკვატურობა წარმოადგენს თარგმანის ეფექტურობის საზომს.

ეკვივალენტურობა აშკარად აპელირებს რაოდენობაზე, „ადეკვატურობა“ კი ორიენტირებულია ხარისხზე. ეკვივალენტურობა თარგმანს აფასებს პროპოზიციის ანუ ლოგიკურ-სემანტიკური შინაარსის მიხედვით, „ადეკვატურობის“ მიზანი კი თარგმანის ექსპრესიული ფუნქციაა.

ეკვივალენტურობის და ადეკვატურობის კორელაცია თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. რეალურად, აღნიშნული პრობლემა წარმოადგენს ინტერლინგვისტური და ინტერკულტურული კომუნიკაციის პრობლემას.

და მაინც, როგორია ადეკვატური თარგმანი? - პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: თუ თარგმანი ეკვივალენტურია ორიგინალისა, სხვა სიტყვებით, თუ ორიგინალსა და თარგმანს გააჩნია თანაბარი კომუნიკაციური მნიშვნელოვნება-ღირებულება, მაშინ თარგმანი ადეკვატურია. არსებობს თუ არა კომუნიკაციური ღირებულების ობიექტურად აღწერის შესაძლებლობა? ხომ არ არის კომუნიკაციური ეკვივალენტურობის ცნება მეტისმეტად ბუნდოვანი? ხომ არ იქნება მიზანშეწონილი კომუნიკაციური ღირებულების ცნების ჩანაცვლება შინაარსით? შინაარსს, რომელიც უშუალოდ გამოიყვანება ერთეულთა მნიშვნელობებიდან (ფუნქციებიდან), შეიძლება ეწოდოს ფუნქციონალური ღირებულება, ხოლო ორიგინალისა და თარგმანის ფუნქციონალურ ღირებულებათა თანხვედრას კი - ორიგინალისა და თარგმანის ფუნქციონალური ეკვივალენტურობა.

რა თქმა უნდა, ფუნქციონალური ღირებულება წარმოადგენს კომუნიკაციური ღირებულების მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს, სამაგიეროდ, მისი აღწერა შესაძლებელია ლინგვისტური ტერმინებით და ამით გამარტივდება ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტურობის ობიექტურად განსაზღვრის პროცესი.

ეკვივალენტურობასთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მთლიანობაში ეკვივალენტურობას უწოდებენ „მეტყველების ერთეულს, რომელიც ფუნქციონალურად ემთხვევა სხვას, რომელსაც შეუძლია შეასრულოს იგივე ფუნქცია, რაც სხვა „მეტყველების ერთეულს“ (ტაროუნი/Tarone, კოჰენი/Cohen, დუმასი/Dumas, 1983, 35-48).

მკვლევართა აზრით, ეკვივალენტურობა ნიშნავს „დედნის ინფორმაციასა და თარგმანის მკითხველს შორის დინამიკური კავშირის დამყარებას. ეკვივალენტობა თანასწორი ურთიერთობაა ორი ლინგვისტური სისტემის ნიშნებს შორის, ორ განსხვავებულ ლინგვისტურ კოლექტივში, სადაც თითოეულს საკუთარი სოციო-კულტურული კონტექსტი აქვს. ამასთან, ეკვივალენტური თარგმანი არ გულისხმობს თითოეული სიტყვის შესატყვისობას. შესაძლოა, რომ თარგმანის მრავალი ვარიანტი იყოს ეკვივალენტური” (სპერბერი/Sperber, უილსონი/Willson, 1995. 167-174). ზოგი ლინგვისტი ეკვივალენტობას განსაზღვრავს როგორც ორიგინალისა და თარგმანის ფუნქციონალურ ტოლფასობას“ (ჰერმანსი/Hermans, 1999. 46-58).

გულისხმობს თუ არა ორიგინალისა და თარგმანის კომუნიკაციური ეკვივალენტურობა ორიგინალისა და თარგმანის მაქსიმალურ ეკვივალენტურობას? კომუნიკაციური

ეკვივალენტურობის ცნება ასოცირდება ადრესატის უნართან, მიიღოს მისთვის განკუთვნილი შეტყობინებიდან საჭირო ინფორმაცია. შეიძლება გამოვეყოთ ენობრივი მედიაციის შემდეგი ტიპები:

1. თარგმანი მაქსიმალურად ეკვივალენტურია ორიგინალისა; შეტყობინების ადრესატი და ადრესანტი ფლობენ ინფორმაციის ადეკვატური აღქმისათვის საჭირო – აუცილებელ, საკმარის და თანაბარ უნარს;
2. თარგმანი არ არის მაქსიმალურად ეკვივალენტური ორიგინალისა; შეტყობინების ადრესატი და ადრესანტი არ ფლობენ ინფორმაციის ადეკვატური აღქმისათვის საჭირო – აუცილებელ, საკმარის და თანაბარ უნარს; ასეთ შემთხვევაში, თარგმანი

ჰეტეროვალენტურია ორიგინალის მიმართ. (ჰალვერსონი/Halverson, 1997. გვ. 207-234)

ადრესატის ფაქტორის გათვალისწინება იძლევა კომუნიკაციური ეკვივალენტურობის კონცეფციის ახლებურად გააზრების საშუალებას. ეს ფაქტია, თუმცა კვლავ იბადება კითხვები: რამდენად გულისხმობს ამ შემთხვევაში სიახლე სისრულესა და ობიექტურობას? შესაძლებელია თუ არა ადრესატის შემეცნებითი უნარის ობიექტური აღწერა ან გაზომვა? პასუხი ყველა კითხვაზე შემდეგია: მხოლოდ მეტ-ნაკლებად!

თარგმანისა და ორიგინალის კომუნიკაციური ეკვივალენტურობა მდგომარეობს თარგმანში ორიგინალის კომუნიკაციური ღირებულების იმ “შუალედური ნაწილის” შენარჩუნებაში, რომელიც საერთოა შეტყობინების ადრესატებისათვის. რამდენადაც ეს “შუალედური ნაწილი” არსებობს პოტენციურ ვარიანტებში, ორიგინალს შეიძლება შეესაბამებოდეს რამდენიმე სხვადასხვა კომუნიკაციურად ეკვივალენტური თარგმანი.

კვლავ ჩნდება კითხვა: არსებობს თუ არა თარგმანის “უნივერსალური” ვერსიის კონსტრუირების შესაძლებლობა? რას უნდა დაეყრდნოს მთარგმენლი ანალოგიზაცია-ტრანსლაციის პროცესში? პასუხი შემდეგია: “უნივერსალურობა” არ გამოიციხავს ინვარიანტთა არსებობას; “უნივერსალურობა” გულისხმობს “სისრულეს”, “სისრულე” კი – ადრესატთა ფონური ცოდნის მაქსიმალურ ზოგადობას.

იმისათვის, რომ ტრანსლაცია-ანალოგიზაციის პროცესს მიეცეს ობიექტური ხასითი, საჭიროა აღნიშნულ პროცესში გამოიყოს იმ ტიპის ფაქტორები, რომლებიც არიან არა შემთხვევითი, არამედ კანონზომიერი. მხოლოდ კანონზომიერ ფაქტორთა შესწავლა

იმლევა თეორიული განზოგადების საშუალებას. სწორედ ამ ფაქტორთა ანალიზს მივყავართ ტრანსლაცია-ანალოგიზაციის პროცესისადმი კომუნიკაციური მიდგომისაკენ.

აღნიშნული მიდგომა გულისხმობს ტრანსლაცია-ანალოგიზაციის პროცესის მაკროლინგვისტურ ასპექტში განხილვას, რამდენადაც ენობრივი ნიშანი კომუნიკაციაში მონაწილეობს არა მხოლოდ თავისი ფორმით, არამედ მნიშვნელობითაც (როგორც სიგნიფიკატურით, ისე დენოტატურითაც). ენობრივი ნიშნის სწორედ ამ სამი კომპონენტის (ფორმის, სიგნიფიკატისა და დენოტატის) გათვალისწინებით უნდა მოხდეს ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტურობის დადგენა.

ტრანსლაცია-ანალოგიზაციის პროცესში ხორციელდება:

1. სუბსტიტუცია გრამატიკული მნიშვნელობის საფუძველზე;
2. ინტერპრეტაცია სიგნიფიკატური მნიშვნელობის საფუძველზე;
3. პარაფრაზირება დენოტატური მნიშვნელობის საფუძველზე.

პარაფრაზირების შედეგად მიღებული შეუსაბამობა ორიგინალისა და თარგმანის პარამეტრებს შორის წარმოადგენს არა ინტერპრეტატორის თავნებობის შედეგს, არამედ ერთეულის სპეციფიკით განპირობებულ ფაქტს.

რა შეიძლება ვიგულისხმოთ ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტურობაში? - პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია:

1. ნორმატიულ-შინაარსობრივი შესაბამისობა ორიგინალსა და თარგმანს შორის, რაშიც იგულისხმება თარგმანში ორიგინალის ყველა არსებითი შინაარსობრივი ელემენტის გადმოტანა-შენარჩუნება;
2. დინამიური (ფუნქციური) შესაბამისობა ორიგინალსა და თარგმანს შორის, რაშიც იგულისხმება ორიგინალისა და თარგმანის ადრესატების რეაქციების თანხვედრა.

ორიგინალისა და თარგმანის დინამიურ (ფუნქციურ) ეკვივალენტურობას განვსაზღვრავთ, როგორც ორიგინალისა და თარგმანის იდენტურ კომუნიკაციურ-ფუნქციურ ღირებულებას, რაც შეიძლება გამოვთქვათ შემდეგი ფრაზით: “ორიგინალი და თარგმანი მეტ-ნაკლებად ერთნაირ ზეგავლენას ახდენს ადრესატზე”. ამ შემთხვევაში, ზეგავლენის იდენტურობაში ვგულისხმობთ ორიგინალსა და თარგმანში ძირითადი ინფორმაციის იდენტური რაოდენობის არსებობის ფაქტს. ძირითად ინფორმაციას კი განვსაზღვრავთ, როგორც

თარგმანში ორიგინალის კომუნიკაციური ინტენციის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ინფორმაციას.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: გულისხმობს თუ არა ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტურობა მათ იდენტურობას? პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: დიახ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგულისხმება კომუნიკაციური ინტენციის იდენტურობა, რაც წარმოადგენს ორიგინალისა და თარგმანის კომუნიკაციური ეკვივალენტურობის საფუძველს. ზოგადად კი, “ეკვივალენტურობა”, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე, სრულიად არარელევანტური პარამეტრია ტრანსლაცია-ანალოგიზაციის პროცესის ეფექტურობის დადგენისათვის.

გულისხმობს თუ არა ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტურობა თარგმანის სრულფასოვნებას? პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: დიახ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგულისხმება ორიგინალის კომუნიკაციური ინტენციის სრული ტრანსპოზიცია თარგმანში.

ტრანსლაცია-ანალოგიზაციის პროცესისათვის რელევანტურია ისეთი ტერმინები, როგორცაა “კომუნიკაციური ეკვივალენტურობა” და “კომუნიკაციური ინტენციის იდენტურობა” და არა ზოგადად “ეკვივალენტურობა” და “იდენტურობა” (შიფრინი/Schiffirin, 1994. გვ. 394; ტროიკი/Troike, 1969. გვ. 62-68; პარიბახტი/Paribakht, Applied Linguistics 6(2), 1985. გვ. 143; ბაიალისტოკი/Bialystok, 1990. გვ. 84; ტაროუნი&იული/Tarone&Yule, 1989. გვ. 103).

რატომ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან “კომუნიკაციური ეკვივალენტურობა” და “ეკვივალენტურობა”? - საქმე ისაა, რომ საკომუნიკაციო კომპეტენციის მკვლევართა კვალდაკვალ, “ეკვივალენტურობა” გვესმის, როგორც ინფორმაციის რაოდენობა.

რამდენადაც, უმეტესწილად, ტრანსლაცია-ანალოგიზაციის განხორციელება შეუძლებელია გარკვეული ინფორმაციული დანაკარგის გარეშე, თარგმანი ვერასდროს ვერ იქნება ორიგინალის სრული, აბსოლუტური ეკვივალენტი (ტრიპი/Tripp, 1972. გვ. 123-156), (კანელი/Canale, 1983. გვ. 78-93; სტროუსონი/Strawson, 1991. გვ. 134-147).

“კომუნიკაციური ეკვივალენტურობა” კი გვესმის, როგორც ორიგინალისა და თარგმანის კომუნიკაციური ინტენციის იდენტურობა (კორდერი/Corder, 1983. გვ. 17-32).

როგორ მიიღწევა ორიგინალისა და თარგმანის “კომუნიკაციური ეკვივალენტურობა”?
 პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: ორიგინალის შინაარსის ინვარიანტული ნაწილის
 იდენტიფიცირებითა და მისი ტრანსპოზიციით თარგმანში.

ორიგინალის შინაარსის ინვარიანტულ ნაწილში ვგულისხმობთ ინფორმაციის იმ ნაწილს,
 რომელშიც გაცხადებულია ორიგინალის ფუნქცია – კომუნიკაციური ინტენცია, სხვა
 სიტყვებით, ორიგინალის შინაარსის ინვარიანტულ ნაწილს ვუწოდებთ ინფორმაციის იმ
 ნაწილს, რომელიც აუცილებელი და საკმარისია ორიგინალისა და თარგმანის
 კომუნიკაციური ეკვივალენტურობის მიღწევისათვის.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: არის თუ არა კომუნიკაციური ეკვივალენტურობა ცვლადი
 პარამეტრი? – რა თქმა უნდა! კომუნიკაციური ეკვივალენტურობის ხარისხი სხვადასხვაა
 თარგმანის სხვადასხვა ადრესატისათვის, უფრო ზუსტად კი, სხვადასხვა ტიპის ფონური
 ცოდნის მქონე ადრესატებისათვის (იაკობსონი/Jakobson, 1959/1966. გვ. 82-97), (ლევაი/Levy,
 1967. გვ. 226-238; ნიუმარკი/(Newmark, 1988. გვ. 162-174).

ტრანსლაცია-ანალოგიზაციის განხორციელება მიზნად ისახავს შემდეგი ამოცანების
 გადაჭრას:

1. ტრანსლაცია-ანალოგიზაციის ზოგადლინგვისტური საფუძვლების განსაზღვრას,
 რაშიც იგულისხმება იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომელთა საშუალებითაც ეს
 პროცესი იძენს ობიექტურობის ხარისხს, სხვა სიტყვებით, შესაძლებელი ხდება ამ
 პროცესის საზღვრების დადგენა;
2. ლინგვისტური კვლევის ობიექტისათვის სტატუსის მინიჭებას, რაშიც იგულისხმება
 თარგმანის, როგორც ენობრივი მედიაციის ერთ-ერთი ტიპის თავისებურებათა
 გამოვლენა;
3. ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტურობის საფუძვლის ანალიზს;
4. ორიგინალისა და თარგმანის კომუნიკაციური თანაბარდებულებიანობის
 კრიტერიუმების დადგენა.

ტრანსლაცია-ანალოგიზაცია წარმოადგენს ადრესანტსა და ადრესატს შორის
 იტერლინგვისტური კომუნიკაციის საშუალებას. სწორედ ამიტომ, ტრანსლაცია-
 ანალოგიზაციის პროცესისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნიკაციური
 ლინგვისტიკის ფუძემდებლური ცნებები (კრუზი/Cruise, 1973. გვ. 107-123; ბახმანი/Bachman,,

19903 გვ. 4-58; შიფრინი/Schiffirin, 1994. გვ. 394; კანელი & სუენი/Canale & Swain, Linguistics 1(1), 1980. გვ. 216-223).

თარგმანის კვლევის ლინგვისტურ მეთოდს წარმოადგენს ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი კვლევა, რაშიც იგულისხმება ორიგინალისა და თარგმანის ფორმისა და შინაარსის მსგავსება-განსახვავებულობის გამოვლენა (სინგი/Singh, 1996. გვ. 134-143; ბერმანი/Bermann&პორტერი/Catherine, 2014. გვ. 203-212; (ჯილი/Gile, 2001. გვ. 23-38; (სალდანია/Saldanha&ო'ბრაიენი/O'Brien, 2013. გვ. 67-74).

ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი კვლევა იძლევა ტრანსლაცია-ანალოგიზაციის მექანიზმის დადგენის საშუალებას, რაშიც იგულისხმება:

1. ორიგინალსა და თარგმანში იდენტური და დიფერენციალური ერთეულების გამოვლენა;
2. ორიგინალის ფორმისა და შინაარსის ტრანსფორმაციის ანალიზი თარგმანში.

ვეყრდნობით რა, ისეთ ცნებებს, როგორცაა: ადრესატი და ადრესანტი, სიტუაცია და კონტექსტი, კომუნიკაციური ინტენცია და ფონური (ენციკლოპედიური) ცოდნა,

თავისთავად გვიწევს ტრანსლაცია-ანალოგიზაციის პროცესის აბსოლუტური ობიექტურობის შესაძლებლობის უარყოფა (ჰატმინი/Hatim & მესონი/Mason, 1990, გვ. 92-114; ჰატმინი/Hatim & მესონი/Mason, 1997. გვ. 22-35; ჩესტერმანი/Chesterman, 1989. 87-94).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი თარგმანი სუბიექტურია იმ ხარისხით, რა ხარისხითაცაა სუბიექტური ნებისმიერი ტექსტი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული კომუნიკატორის სამეტყველო აქტის შედეგს (ჰატმინი/Hatim, 1997/2000. გვ. 46-53; ჰარდუიკი/Hardwick, 2000. გვ. 78-73; ჰატმინი/Hatim, 2001. გვ. 117-134).

თუმცა თარგმანის სუბიექტურობა იზღუდება თარგმანში ორიგინალის შინაარსის მაქსიმალური სისრულით ტრანსპოზიციის აუცილებლობით (ნაიდა/Nida & ტაბერი/Taber, 1969. გვ. 56-74; ფროლი/Frawley, 1984. გვ. 67-78.

თარგმანში ორიგინალის შინაარსის მაქსიმალური სისრულით ტრანსპოზიციის შესაძლებლობა კი განპირობებულია ორიგინალში ობიექტურად არსებული მონაცემების . ტრანსპოზიციაზე თარგმანში (ბელი,1991. გვ. 127-132; ტიური/Toury, 2012. გვ. 156-164; ბასნეტი/Bassnet & ლიფევერი/Lefevere, 1990. გვ. 45-48; ბიგენეტი/Biguenet &რაინერ/ Rainer, 1989. გვ. 18-24).

ობიექტურად არსებული მონაცემები გვესმის, როგორც ორიგინალის, ისე თარგმანის ავტორის ინტერპრეტაციისაგან “თავისუფალი”, უფრო ზუსტად კი, სუბიექტური დამოკიდებულებით არამარკირებული მონაცემები. სამეტყველო აქტის სუბიექტურობიდან გამომდინარე, ვაცნობიერებთ, რომ ამ ტიპის ობიექტურობაც პირობითია, და ტრანსლაცია-ანალოგიზაციის პროცესს განვსაზღვრავთ, როგორც ინტერპრეტატორის მიერ ორიგინალში არსებულ ობიექტურ მონაცემთა სუბიექტურ რეალიზაციას თარგმანში. თუმცა ვაღიარებთ, რომ ობიექტურ მონაცემთა ეს დეფინიციაც ვერ აცხადებს პრეტენზიას აბსოლუტურ ობიექტურობაზე. იგი დაზუსტებას საჭიროებს!

ტრანსლაცია-ანალოგიზაციის პროცესის სუბიექტურობა არ წარმოადგენს აღნიშნული პროცესის შედეგის (თარგმანის) ობიექტური კვლევის დაუძლეველ ბარიერს (მასქარი/Muscard, 1996. გვ. 67-83; პიმი/Pym, 1992. გვ. 45-48; მანდელი/Munday, 2001. გვ. 127-134; სნელ-ჰორნბი/Snell-Hornby, 1995. გვ. 1117-125). ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი კვლევა გულისხმობს, როგორც ორიგინალისა და მისი ერთი თარგმნილი ვერსიის, ისე ორიგინალისა და მისი სხვადასხვა (რამდენიმე) ვერსიის შეპირისპირებით კვლევას (გენცლერი/Gentzler, 1993. გვ. 57-62; ქეთფორდი/Catford, 1965. გვ. 114-123. ორიგინალისა და მისი სხვადასხვა (რამდენიმე) თარგმნილი ვერსიის შეპირისპირებითი კვლევა ხორციელდება სტატისტიკური მეთოდის გამოყენებითა და ინფორმანტთა გამოკითხვის გზით (მელინჯერი/Mellinger & ჰანსონი/Hanson, 2017. გვ. 92-103). აღნიშნული მეთოდები იძლევა ორიგინალსა და თარგმანის ვერსიებში კორელაციური ელემენტების გამოვლენის საშუალებას. აქედან გამომდინარე, ვაცნობიერებთ ნებისმიერი სამეტყველო აქტის სუბიექტურობას და ობიექტურად არსებული მონაცემები გვესმის, როგორც ორიგინალსა და თარგმანის სხვადასხვა (რამდენიმე) ვერსიაში არსებული კორელაციური ელემენტები. ამ ტიპის ობიექტურობა არ მოდის კონფლიქტში სამეტყველო აქტის სუბიექტურობასთან, ვინაიდან ობიექტურობის საფუძველს წარმოადგენს არა სამეტყველო აქტის ობიექტურობა, არამედ ინფორმანტთა გამოკითხვისა და სტატისტიკური მეთოდების საშუალებით თარგმანის ვერსიებში გამოყენების ყველაზე მაღალი სიხშირის მქონე ელემენტთა გამოვლენა.

ტრანსლაცია-ანალოგიზაციის პროცესზე მსჯელობისას აუცილებელია ინფორმაციის ნორმის ცნების გააზრება. ბუნებრივია, ნორმა ვერ იქნება კონსტანტა – იგი ცვლადი იქნება

სხვადასხვა შემთხვევაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტრანსლაცია ანალოგიზაციის პროცესის კვლევისათვის ობიექტურობის გარკვეული ხარისხის მინიჭების მიზნით, აუცილებლად მივიჩნევთ ინფორმაციის ნორმის საერთო მნიშვნელის განსაზღვრას. ჩვენი აზრით, ინფორმაციის ნორმა წარმოადგენს ინფორმაციის იმ აუცილებელ და საკმარის რაოდენობას, რომლის შენარჩუნების პრობლემაში სამეტყველო ერთეული ინარჩუნებს თავის ინფორმატიულობას.

ცნობილია, რომ არსებობს ინფორმაციის დამუშავების სემიოტიკური და კომუნიკაციური მეთოდები:

1. ინფორმაციის დამუშავების სემიოტიკურ (ნიშნობრივ, ენობრივ) მეთოდს განეკუთვნება ლექსიკური კომპრესია, სინტაქსური კომპრესია და სამეტყველო სტერეოტიპთა ფორმირება.
2. ინფორმაციის დამუშავების კომუნიკაციურ მეთოდს განეკუთვნება ინფორმაციის კონდენსირება და მეორადი ნომინაციის გამოყენება.

ლექსიკური კომპრესიის იდეალურ ვარიანტად განიხილება ტერმინის გამოყენება განმარტების გარეშე, რამდენადაც ტერმინს გააჩნია ცნების ნომინირების უნარი მაქსიმალურად შემჭიდროვებული ფორმით.

სინტაქსური კომპრესია გულისხმობს ნიშნობრივი სტრუქტურის შემჭიდროვებას ელიფტიზაციის მეშვეობით, რაშიც იგულისხმება: გრამატიკული არასრულყოფილება, კავშირების არარსებობა, სინტაქსური ასიმეტრიულობა.

ნებისმიერ შემთხვევაში, კომპრესიის სემიოტიკური თუ კომუნიკაციური მეთოდის გამოყენებისას, ხდება ინფორმაციული სივრცის შემცირება. სივრცის შემცირება ხდება ორიგინალის არა “აღსანიშნის დონის”, არამედ “აღმნიშვნელის დონის” შემჭიდროვების ხარჯზე (ეროუსმითი/Arrowsmith & როჯერი/Roger, 1961. გვ. 87-95; ნორდი/Nord, 1997. გვ. 34-56; შტეინერი/Steiner, 1992. გვ. 136-143).

აქედან გამომდინარე, კომპრესიას განვსაზღვრავთ, როგორც თარგმანში ორიგინალის “აღსანიშნის დონის” სრულ ტრანსპოზიციას, თარგმანში ორიგინალის “აღმნიშვნელის დონის” შემჭიდროვებით (პოსტგეითი/Postgate, 1922. გვ. 114-126; სნელ/ჰორნბი/Snell-Hornby, 1994. გვ. 87-93).

კომპრესია გულისხმობს ინფორმაციული სივრცის შემცირებას არა ინფორმაციის რომელიმე კონკრეტული ნაწილის “მოხსნის” ხარჯზე, არამედ ინფორმაციული სივრცის შემცირებას ინფორმაციის სრული რაოდენობის “შენახვით” (რობინსონი/Robinson, 2003. გვ. 76-88; ტაური/Toury, 1980. გვ. 107-116; ბასნეტი/Bassnett, 1980. გვ. 37-45).

აქედან გამომდინარე, კომპრესია წარმოადგენს გამოხატვის ვერბალურ საშუალებათა ინფორმატიულობის ხარისხის ოპტიმიზაციის ერთ-ერთ მეთოდს (პიმი/Pym, 2014. გვ. 56-68; უილსი/Wills, 1996, 167-175; ფოჩჰაკერი/Pöchhacker, 2004. გვ. 24-38).

აღნიშნული მეთოდი გულისხმობს იმ ტიპის ერთეულის ფორმირებას, რომელშიც მინიმალური ლექსიკური დანახარჯებით მაქსიმალურად სრულადაა გამოხატული ორიგინალის კომუნიკაციური ღირებულება (ბეიკერი/Baker, 1992 გვ. 45-57;

ალვარესი/Alvarez & კარმენი/Carmen, 1996. გვ. 126-138).

ინტერლინგვისტური კომუნიკაციის კონტექსტში ტრანსლაცია ანალოგიზაციის ადეკვატურობის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს შეფასების ოთხ განსხვავებულ სახეს და უნდა იძლეოდეს პასუხს შემდეგ ოთხ შეკითხვაზე:

1. არის თუ არა რაიმე ფორმალურად შესაძლებელი (და თუ არის რა დონემდე)?
ლინგვისტურ ტერმინოლოგიაში “ფორმალურად შესაძლებელი” უდავოდ გრამატიკულს ნიშნავს, მაგრამ ამასთანავე იგი შეიძლება გამოვიყენოთ სოციოკულტურული თვალსაზრისით. ასე, რომ შეიძლება დავსვათ საკითხი არის თუ არა კონკრეტული აქტი ფორმალურად შესაძლებელი კონკრეტული კულტურის ნორმების ფარგლებში;
2. არის თუ არა განხორციელებადი არსებული საშუალებების გათვალისწინებით (და თუ არის რა დონემდე)? გამონათქვამს შეიძლება ახასიათებდეს ისეთი ნიშნები, როგორცაა მრავალრიცხოვანი განშტოებები, ჩანართები, რაც ასეთ წინადადებებს უჩვეულოდ აქცევს. ამ შემთხვევაში ამოქმედდება მეხსიერების ან აღქმის შეზღუდულობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ფაქტორები და შეუძლებელი ხდება გამონათქვამის მომენტალური გაგება ჩაწერის და შემდგომი დეტალური ანალიზის გარეშე;
3. არის თუ არა რაიმე მისაღები იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც იგი გამოიყენება ან აღიქმება, ანუ არის თუ არა ეს ფორმა სათანადო (და თუ არის, რა

დონემდე)? აქ საუბარია, ენობრივი სუბიექტის უნარზე მოახდინოს გამონათქვამის სწორი კონტექსტუალიზაცია, რაც კონტექსტის კონკრეტულ მახასიათებლებსა და ენობრივ ფორმებს შორის კავშირების ადეკვატურ ცოდნას გულისხმობს. აქ შეიძლება გაერთიანდეს უნივერსალური ლოგიკური პრინციპები და მისაღებობის ზოგადი პირობები. აქვე უნდა გავაერთიანოთ ენის სისტემაში არსებული კონკრეტული ფონოლოგიური, გრამატიკული და ლექსიკური ვარიანტების ფლობა, რაც განაპირობებს ენით სარგებლობის კონკრეტულ კონტექსტში განხორციელებული არჩევანის სისწორეს;

4. არის თუ არა რაიმე რეალური ანუ მართლაც ხორციელდება თუ არა იგი (და თუ არის, რა დონემდე)? რაიმეს რეალიზაციის ხარისხი აუცილებლად წარმოადგენს მისი შესაძლებლობის, განხორციელებადობის, და დასაშვებობის შემადგენელ ნაწილს. შესაძლოა საჭირო აღმოჩნდეს ერთი შეტყობინებისათვის ერთი და იმავე შეკითხვის არაერთხელ დასმა. შეტყობინება “შესაძლებელი” უნდა იყოს არა მხოლოდ ფორმის, არამედ მისი შინაარსისა და გამართლებულობის თვალსაზრისით. ანალოგიურად, რამდენად “დასაშვებია” იგი, დამოკიდებულია მასზე მოქმედ სოციალურ ფაქტორებზე, მისი განხორციელებადობა კი იმ ფორმალურ საზღვრებზე, რომლებშიც ადრესანტს შეუძლია თავისი შეტყობინების აგება.

ფაქტია, რომ აღნიშნულ კითხვებს მიღმა იკვეთება შეტყობინების გადამუშავების ეტაპები, რომლებიც შესაბამისობაშია ისეთ სამ ურთიერთდამოკიდებულ კომპეტენციასთან, როგორცაა გრამატიკული კომპეტენცია, სოციოლინგვისტური კომპეტენცია, დისკურსის კომპეტენცია და საკომუნიკაციო კომპეტენცია:

1. გრამატიკული კომპეტენცია შემოიფარგლება ენობრივი კოდის ფლობით. აქ იგულისხმება ენის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა: ენის ლექსიკური მარაგი, სიტყვათწარმოება, წინადადებათა ფორმირება, წარმოთქმა, მართლწერა და ლინგვისტური სემანტიკა. გრამატიკული კომპეტენცია კონცენტრირებულია იმ ცოდნასა და უნარზე, რომელიც საჭიროა გამონათქვამის პირდაპირი მნიშვნელობის გადმოსაცემად და გასაგებად;
2. სოციოლინგვისტური კომპეტენცია განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად მისაღებადაა ჩამოყალიბებული და გაგებული ესა თუ ის გამონათქვამი. აქ იგულისხმება შესაბამისობა სოციოლინგვისტურ კონტექსტთან - ისეთ ფაქტორებთან, როგორცაა: მონაწილეთა

სტატუსი, ინტერაქციის ნორმები და პირობითობები. იმავდროულად, გათვალისწინებულია გამონათქვამის შინაარსიც და ფორმაც. თუ კონკრეტული კომუნიკაციური ფუნქცია შეესაბამება კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის სპეციფიკას, გამონათქვამი შინაარსობრივად გამართლებულია;

3. დისკურსის კომპეტენცია გულისხმობს გრამატიკულ ფორმათა და მნიშვნელობათა შერწყმას, კონკრეტული ფუნქციონალური ენის თავისებურებათა გათვალისწინებით. ტექსტის ერთიანობა მიიღწევა კოჰეზიითა და კოჰერენტულობით. კოჰეზიაში იგულისხმება ფორმის შეკრულობა - ტექსტის სტრუქტურული მთლიანობა. კოჰერენტულობა - მნიშვნელობათა ურთიერთშესაბამისობა - ეხება ტექსტში არსებულ მნიშვნელობათა შორის არსებულ კავშირს;

4. საკომუნიკაციო კომპეტენცია გულისხმობს სუბიექტის იმ ცოდნასა და უნარს, რომელიც მას საშუალებას აძლევს, გამოიყენოს მთელი ის სემიოტიკური სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია მისთვის, როგორც სოციოკულტურული კოლექტივის წევრისათვის. კომუნიკაციური კომპეტენციის ცნება რაც აერთიანებს ყველაფერს, რაც უნდა იცოდეს მოუბარმა კულტურულად ღირებულ ვითარებაში წარმატებული კომუნიკაციის განსახორციელებლად.

ინტერლინგვისტური კომუნიკაციის ეფექტურობისათვის არასაკმარისია, კომუნიკანტების მიერ საერთო ენობრივი კოდის ფლობა. ამ შემთხვევაში მიზნის მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცოდნისა და უნარ-ჩვევების იმ ტიპის ერთობლიობა, რომელიც მოიცავს კოდის ფლობას, თუმცა არ შემოიფარგლება ამით. ცნებას, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს ამ ერთობლიობას, წარმოადგენს საკომუნიკაციო კომპეტენციას.

საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება აერთიანებს ყველაფერს, რაც უნდა იცოდეს ადრესანტმა კულტურულად დეტერმინირებულ სიტუაციაში წარმატებული კომუნიკაციის განსახორციელებლად.

საკომუნიკაციო კომპეტენცია ეფუძნება ენობრივი კომპეტენციის გაგებას. საკომუნიკაციო კომპეტენცია წარმოადგენს ინტუიციურ ცოდნას, რომელიც საშუალებას აძლევს ენობრივ სუბიექტს, შექმნას და გაიგოს გამონათქვამი კონკრეტული კონტექსტის ფარგლებში.

ლაიონზის თვალსაზრისით, ჰაიმსმა საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება დაამკვიდრა სუბიექტის იმ ცოდნისა და უნარის აღსანიშნავად, რომელიც საშუალებას აძლევს სუბიექტს,

როგორც სოციოკულტურული კოლექტივის წევრს, გამოიყენოს მისთვის ხელმისაწვდომი სემიოტიკური სისტემა (ლაიონზი/Lyons, 1981. გვ. 17-23; ლაიონზი / Lyons, 1994. გვ. 126-134). ტერმინი “საკომუნიკაციო კომპეტენცია” ლინგვისტიკაში ჰაიმსმა შემოიტანა (ჰაიმსი / Hymes, 1974. გვ. 254-277; ჰაიმსი/Hymes, 1971. გვ. 264-267). აღნიშნულ ცნებაში ნათლად იკვეთება ხომსკის მიერ დამკვიდრებულ “ლინგვისტურ კომპეტენციასთან” არსებული კონტრასტი (ხომსკი / Chomsky. გვ. 1965. 14-28).

საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება მრავალი ლინგვისტის კვლევის საგნს წარმოადგენს (შტერნი / Stern, 1986. გვ. 45-54; ბახმანი/Bachman, 1990. გვ. 97-106; სავინგონი/Savignon, 1972. გვ. 116-132). ცნების დაზუსტების მცდელობამ გამოიწვია განსხვავებული თვალსაზრისებისა და წინააღმდეგობრივი თეორიების ჩამოყალიბება (ჰაბერმასი/Habermas, 1970. გვ. 134-138; ქენალი/Canale & Swain, 1980. გვ. 67-81; ვიდოუსონ/Widdowson, 1983. გვ. 94-107).

აზრთა სხვადასხვაობა იკვეთება თავად ტერმინის განმარტების საკითხშიც (ბეგარიკი/Bagaric & ჯიგუნოვიჩი/Djigunovic, 2007. გვ. 103; სავინგონი/Savignon, 1972. გვ. 28-31).

საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნების განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო კომპეტენციისა და შესრულების [competence vs. performance] ტრადიციული დიქოტომიის ახლებურ, კერძოდ კი, კომუნიკაციურ დონეზე გააზრებას (გლენი/Glahn, 1980. გვ. 56-74; ვიდოუსონი/Widdowson, 1984. გვ. 27-34; ფროლი/Frawley & ლანტოფი/Lantolf, 1985. გვ. 114-118). საკომუნიკაციო კომპეტენციის ახლებური გააზრება გულისხმობს შემდეგი ორი ასპექტის აღიარებას: ეს არის ინტუიტიური ცოდნა და გამოყენების უნარი.

საკომუნიკაციო კომპეტენცია წარმოადგენს კომუნიკაციურ გარემოში ფუნქციონირების უნარს (ბონგეტსი/Bongaerts, პულისი/Poulisse, 1989. გვ. 235; ქენჯი/Khanji, 1996. გვ. 152-154). კომუნიკაციურ გარემოში ხორციელდება დინამიკური ურთიერთქმედება, რომლის დროსაც ლინგვისტური კომპეტენცია უნდა მოერგოს კომუნიკანტის მიერ მოწოდებულ როგორც ლინგვისტურ, ისე პარალინგვისტურ ინფორმაციას. აღნიშნულ დეფინიციამ აქცენტირებულია კომპეტენციის, როგორც უნარის (და არა ცოდნის) დინამიკური ინტერპერსონალური ბუნება და მისი დამოკიდებულება კონტექსტზე.

თავი II. კვლევის მეთოდოლოგია

2.1 ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნის ლინგვისტური საფუძვლები

ადამიანი სიტყვის წარმოთქმის ანუ მეტყველების უნარით განირჩევა ყველა სხვა ცოცხალი ორგანიზმისგან. სიტყვას მაგიური ძალა აქვს, სიტყვას შეუძლია ააშენოს ან დააქციოს ქვეყანა, ააყვავოს ან გაანადგუროს ადამიანის ცხოვრება. აქედან გამომდინარე სიტყვის გარეშე ვერ იქნება ვერაფერი, და რაკი სიტყვა აუცილებლობას წარმოადგენს შესაბამისად თარგმანიც აუცილებელი იქნება მუდამ, თუ ერთ მშვენიერ დღეს მთელი სამყარო ისევ ერთ ენაზე არ ალაპარაკდა. როგორც „ძველი აღთქმა“ ამბობს, თავიდან ერთი ენა ყოფილა მხოლოდ: ****და იყო ყოველი ქუეყანა - ბაგე ერთ და ხმა ერთ ყოველთა.**“ [მცხეთური ხელნაწერი, 1981, გვ. 63]

შესავალში განხილული იყო წინამდებარე კვლევის ძირითადი მიზანი - ბიზნეს ტერმინოლოგიის, კერძოდ ფულის და ფინანსური ტრანზაქციის თემატური სივრცის, სისტემატიზაცია და სეგმენტაცია ამ ტერმინოლოგიის სემანტიკურ მნიშვნელობათა დიფერენციაციისა და კლასტერებად დაჯგუფებისა და პირობითად სემანტიკურ დომენებად სეგმენტაციის გზით. მოცემული მიზნის მისაღწევად მიგვაჩნია, რომ საჭიროა გამოვლენილ და განზოგადებულ იქნეს ბიზნეს ტერმინოლოგიის, როგორც ლინგვისტური ფენომენის, სტრუქტურული, ლექსიკური და სხვა თავისებურებანი. აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა იმ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტებს განვიხილავთ, რასაც ჩვენი კვლევა ეყრდნობა.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია რომელიმე დარგის არსებობა და განვითარება თარგმანის გარეშე, უფრო მეტიც, ადამიანები უკვე ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში გრძნობენ თარგმანის აუცილებლობას. დასაშვებია თუ არა, რომ ადამიანს საკუთარი აზრის თარგმნა ანუ სიტყვებად გადატანა არ დასჭირდეს? თეორიულად დასაშვებია, რადგან ადამიანის გონებას შესწევს უნარი სხვის აზრებს ჩაწვდეს. ძალიან ხშირად ხდება, რომ ერთი ადამიანი უსიტყვოდ ხვდება რას ფიქრობს მეორე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის აზროვნება მუდმივი განვითარების პროცესშია და მომავალში კიდევ უფრო განვითარდებ, ყველაფერი სრულიად დასაშვებია, მაგრამ პრაქტიკულად ალბათ არ მოხდება, რადგან როგორც იოანეს სახარებაშია ნათქვამი,

სიტყვა უპირველესი ფაქტორია: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი“ (ახალი აღთქმა, 1992, გვ. 176).

თარგმნის პრაქტიკა საუკუნეებს ითვლის და ფართოდ არის გავრცელებული მთელს მსოფლიოში, მეცნიერება თარგმანის შესახებ კი მხოლოდ მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა და სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა. მათ შორის აუცილებელი გახდა თარგმანის ლინგვისტური პრობლემატიკის კვლევა.

მრავალი მეცნიერი იზიარებს ცნობილი შოტლანდიელი ლინგვისტის ჯ. ქეთფორდის (1978) მოსაზრებას, რომ ვინაიდან თარგმნა ენასთან არის დაკავშირებული, და ენებთან მიმართებაში სრულდება, მნიშვნელოვანია მისი კვლევა ლინგვისტური მიმართულებით. თარგმნა არის ენაზე მუშაობის პროცესი - ერთ ენაზე მოცემული ტექსტის მეორე ენაზე გადატანის პროცესი. აქედან გამომდინარე თარგმანის ნებისმიერი თეორია ენის თეორიას ანუ ზოგადი ენათმეცნიერების თეორიას უნდა ეყრდნობოდეს (ქეთფორდი/Catford, გვ. 8). თარგმანის მეცნიერული შესწავლის შედარებით ახალი მიმართულების ჩამოყალიბებას, რომელიც თარგმანს განიხილავს საკუთრივ ლინგვისტიკის პოზიციებიდან, ნ. საყვარელიძე (2001) ენათმეცნიერებაში ახალი ტენდენციების გაჩენას, კერძოდ კომუნიკაციის თეორიის განვითარებას უკავშირებს (გვ. 8). მისივე აზრით, თარგმანის ლინგვისტიკის პოზიციებიდან გაშუქების პირველი სერიოზული ცდა იყო ა. ვ. ფიოდოროვის წიგნი - „თარგმანის ზოგადი თეორიის შესავალი“ / Ф. В. Федоров. Введение в общую теорию перевода. М., 1958. (საყვარელიძე, გვ. 10).

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ლინგვისტიკა არის მეცნიერება ენის შესახებ. ენის ფილოსოფიური კვლევა უხსოვარი დროიდან დაიწყო და კომუნიკაციის ამ უნიკალური საშუალების შესწავლა დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს მრავალი მიმართულებით. ზოგადი განმარტებით, ენა არის სიტყვათა და ნიშანთა სისტემა, რომელსაც ადამიანები ერთმანეთთან საკუთარი აზრებისა და გრძნობების გასაზიარებლად იყენებენ (<https://www.merriam-webster.com>). მეცნიერული თვალსაზრისით, ენა სხვადასხვა ელემენტებისაგან შემდგარი კომპლექსური სისტემაა, რომელსაც კონკრეტული სტრუქტურა გააჩნია. ჰუმბოლდტი (1984) ენას განიხილავს როგორც საკომუნიკაციო საშუალებას, როგორც ცოცხალ სისტემას და მიიჩნევს, რომ, ენა შემოქმედებითი პროცესია და არა მკვდარი პროდუქტი (ჰუმბოლდტი/Humboldt. გვ. 69). ენა საშუალებას გვაძლევს

ვიაზროვნოთ, ვილაპარაკოთ და ჩვენს გარემომცველ სამყაროს მნიშვნელობა მივანიჭოთ (ვიდონი/Weedon, 1987, გვ. 32)

ჩვენ როგორც მოაზროვნე არსებებს ენა გვეერთიანებს და საშუალებას გვაძლევს მნიშვნელობა მივანიჭოთ სამყაროს და ვიმოქმედოთ მის გარდასქმნელად. ენა ექსკლუზიურად ადამიანის საკუთრებაა, რასაც უბრალო ბიოლოგიური არსებობა შინაარსიან, სოციალურ არსებობამდე აჰყავს (ბელი & რასელი/Bell & Russel, 2000, გვ. 193).

ენის სტრუქტურა დიდ გავლენას ახდენს ამ ენის მატარებელთა შემეცნებისა და აზროვნების თავისებურებებზე.

ლეონარდ ბლუმფილდი (1973) უდიდეს როლს ანიჭებს ლინგვისტურ ფორმებს და აღნიშნავს, რომ ლინგვისტური მნიშვნელობები უფრო კონკრეტულია, ვიდრე ადამიანის არა-ლინგვისტური ქმედებანი. ადამიანის არალინგვისტური ქმედებებია ქესტები, სიცილი, ტირილი, და სხვ. მაგრამ ლინგვისტური ფორმების შედეგად უმეტესწილად უფრო ზუსტი და დელიკატური კოორდინირება ხორციელდება, ვიდრე არა-ლინგვისტური მნიშვნელობების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე ბლუმფილდი ასკვნის, რომ თითოეულ ლინგვისტურ ფორმას მუდმივი და კონკრეტული მნიშვნელობა აქვს (გვ. 144).

ფერდინანდ დე სოსიურმა ენა და მეტყველება, რაც ფრანგულად არის „langue“ და მეტყველება - „parole“, ერთმანეთისგან გამიჯნა. სოსიურის (2002) თანახმად, ენა, როგორც ასეთი:

არ ემთხვევა სამეტყველო ქმედებას. იგი მისი განსაზღვრული, თუმცა უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამავე დროს, ენა სოციალური პროდუქტი და იმ აუცილებელ პირობათა ერთობლიობაა, რომლებიც მიღებულია საზოგადოებრივი ორგანიზმის მიერ ცალკეულ ინდივიდებში განსახორციელებლად. მთლიანობაში აღებული, სამეტყველო ქმედება მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია.

მიმდინარეობს რა ერთდროულად სხვადასხვა სფეროში - ფიზიკურსა, ფიზიოლოგიურსა თუ ფსიქიკურში - იგი ამასთანავე ინდივიდუალურ და სოციალურ სფეროებსაც ეკუთვნის. სამეტყველო ქმედება არ ექვემდებარება ადამიანური ყოფის მოვლენების არავითარ კლასიფიკაციას, რადგან მისთვის მთლიანობის მინიჭება შეუძლებელია. მისგან განსხვავებით ენა მთლიანობა და კლასიფიკაციის საფუძველია (გვ. 21).

მისივე სიტყვებით, ენა არის ადამიანის ცნობიერებაში „მეტყველების შედეგად დაგროვილი განძი“, რომელიც არცერთ მათგანში სრულად არ არის წარმოდგენილი, სრულად მხოლოდ ერთიანობაშია, კოლექტივშია.

ენისა და მეტყველების გამიჯვრებით ერთმანეთისგან განვაცალკევებთ:

1. სოციალურსა და ინდივიდუალურს;
2. არსებითს დამატებითს, მეტ-ნაკლებად შემთხვევითისგან. (სოსიური, 2002. გვ. 25).

ზოგადად, ენა მრავალ პარადიგმულ ჭრილში განიხილება, და როგორც ნებისმიერი მეცნიერული პარადიგმა, ლინგვისტური პარადიგმებიც დროთა განმავლობაში იცვლება და ახალი პარადიგმები ჩნდება.

დიდი ხნის წინ ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ ასე ჩამოაყალიბა კომუნიკაციის ძირითადი ელემენტები - ethos, pathos, and logos (არისტოტელე). ეს ელემენტები კომუნიკაციის აუცილებელი კომპონენტებია დღესაც, მათ შორის, კომუნიკაციის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია სიტყვა (logos).

1883 წელს ფრანგმა ფილოლოგმა მიშელ ბრეალმა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით ენის „ინტელექტუალური კანონები“, სადაც ის ამტკიცებდა, რომ ფონეტიკისა და მორფოლოგიის, ადამიანის მეტყველების ფორმალური ელემენტების კვლევასთან ერთად საჭირო იყო მეცნიერება სიტყვის მნიშვნელობის შესახებ, რასაც მან la semantique უწოდა (ულმანი, Ulman, 1969. გვ. 9).

დღეისათვის სემანტიკა ლინგვისტიკის ერთ-ერთი დარგია, რომლის საგანია ლინგვისტურ გამოთქმათა ლიტერატურული მნიშვნელობის ანალიზი და აღწერა, დაწყებული მთელი წინადადებიდან ცალკეულ სიტყვებამდე. თავის მხრივ სემანტიკის ერთ-ერთი ქვედარგია "ლექსიკური სემანტიკა", რომელიც სიტყვის მნიშვნელობას შეისწავლის და ორ მიზანს ემსახურება: ერთი მხრივ, წარმოგვიდგენს თითოეული სიტყვის მნიშვნელობას, და მეორე მხრივ, განიხილავს, როგორ არის ამ სიტყვათა მნიშვნელობანი ურთიერთდაკავშირებული. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ტერმინოლოგიის, კერძოდ ბიზნეს ტერმინოლოგიის სისტემატიზაციის საჭიროებას ტერმინოლოგიის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, სიტყვათა მრავალმნიშვნელობა, მათი მჭიდრო კონტაქტი ობიექტურ სინამდვილესთან და მათ მნიშვნელობათა სწრაფი ზრდა განაპირობებს. ჩვენი კვლევის ფარგლებში ბიზნეს ტერმინოლოგიის კონკრეტული თემატური სივრცისათვის „ფული“ –

„ფინანსური ტრანზაქციის“ აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის სისტემატიზაციისათვის სიტყვათა სინონიმური რიგების თავისებურებათა დადგენას, სინონიმური რიგის წევრთა მადიფერენცირებელ და მაორგანიზებელ ნიშანთა იდენტიფიცირებას მივმართავთ და სიტყვათა მნიშვნელობაზე, პოლისემიაზე ანუ სიტყვათა მრავალმნიშვნელობიანობაზე, სინონიმურ რიგებზე, ჰიპონიმებზე, ომონიმებსა და ჰიპერნიმებზე ვამახვილებთ ყურადღებას.

ზოგადად, ენის სისტემურობის კვლევას ე.წ. „სემანტიკური ველის“ თეორიამ დაუდო სათავე, რომელიც გერმანიაში წარმოიშვა გასული საუკუნის დასაწყისში.

ლექსიკური ველის თეორიის წარმოშობამდე, დაახლოებით 1870 წლიდან 1930 წლამდე, პრესტრუქტურული დიაქრონული სემანტიკა დომინირებდა. სიტყვის მნიშვნელობის კვლევა, როგორც ლინგვისტიკის აშკარა ქვედისციპლინა, მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან წარმოიშვა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე არანაირი ლექსიკური სემანტიკა არ არსებობდა - პრესტრუქტურული დიაქრონული სემანტიკის ერთ-ერთი ინდივიდუალური მკვლევარი იყო ფრანგი ლინგვისტი მიშელ ბრეალი.

მეცხრამეტე საუკუნის ლინგვისტიკის საერთო ხასიათი დიაქრონული მიმართულება იყო, შესაბამისად, სემანტიკა მნიშვნელობის ცვლილებით იყო დაინტერესებული.

სიტყვის მნიშვნელობის სტრუქტურული კვლევა ფერდინანდ დე სოსიურის სახელს უკავშირდება. სოსიურის თანახმად, ენის გაგებისათვის საჭიროა მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთობის გაგება. მისი აზრით ლინგვისტის უპირველესი ამოცანა ლინგვისტური სტრუქტურის კვლევაა და ენის ყველა სხვა ფორმა მას უნდა დაუკავშიროს. სოსიური (2010) ენას სისტემად განიხილავს და ჭადრაკის თამაშს ადარებს, სადაც თითოეული ფიგურის გადაადგილება, სხვა ფიგურებისაგან განსხვავებულ გარკვეულ წესს ექვემდებარება და მთლიანობაში თამაშის ერთიან სისტემას ქმნის:

ენა სისტემაა, რომელიც მხოლოდ საკუთარ კანონებს ემორჩილება. მისი ჭადრაკთან შედარება ადვილად გამოგვაყოფინებს გარეგანს შინაგანისგან. ის ფაქტი, რომ ჭადრაკის თამაში ევროპაში სპარსეთიდან შემოვიდა, გარეგანია, ხოლო შინაგანია ის, რაც სისტემასა და თამაშის წესებს ეხება. თუ ხის ფიგურებს სპილოს ძვლის ფიგურებით შევცვლით, ცვლილებას სისტემისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. მაგრამ თუ გავზრდით, ან შევამცირებთ მათ რაოდენობას, ეს ცვლილება

მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თამაშის „გრამატიკაზე“. ამიტომ, ყველა შემთხვევაში უნდა დავადგინოთ მოვლენის არსი, რისთვისაც შემდეგი წესით უნდა ვიხელმძღვანელოთ: შინაგანია ყოველივე ის, რაც მეტ-ნაკლებად სახეს უცვლის სისტემას (გვ. 33).

სტრუქტურალიზმის მრავალ თეორიათა შორის ერთ-ერთი ფართო მიმართულებაა ლექსიკური ველის თეორია. ცნობილია, რომ ლექსიკური სემანტიკა, როგორც ცალკე დისციპლინა 19-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს სათავეს. ლექსიკურ სემანტიკას გერმანელი ფილოლოგის ჯოსტ ტირის სემანტიკური ველის ანალიზმა დაუდო სათავე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლექსიკური სემანტიკა სიტყვის მნიშვნელობას შეისწავლის და ორ მიზანს ემსახურება: ერთის მხრივ, წარმოგვიდგენს თითოეული სიტყვის მნიშვნელობას, და მეორეს მხრივ, განიხილავს, როგორ არის ამ სიტყვათა მნიშვნელობანი ურთიერთდაკავშირებული.

ლექსიკური ველის თეორია ევროპის კონტინენტზე წარმოიშვა 1930-1960 წლებში, რაც იმ ფაქტს უკავშირდება, რომ 1931 წელს ტირიმ გამოაქვეყნა თავისი სადოქტორო დისერტაციის შედეგები შუა საუკუნეების გერმანული ლექსიკის განვითარების შესახებ. მან სემანტიკური ველის მეთოდი გამოიყენა ტრადიციული გერმანული საყოფაცხოვრებო საგნების ეტიმოლოგიის გამოსაკვლევად შუა საუკუნეების ფართო კულტურულ კონტექსტში და ამ აღნიშვნათა მეტაფორული კავშირის დასადგენად მთელ რიგ აბსტრაქტული ლექსემებთან. ტირიმ თეორიულად ჩამოაყალიბა ველისადმი მიდგომა და გამოიკვლია თუ როგორ წარმოიშვა მენტალური თვისებების ტერმინოლოგია ძველი ზემოგერმანული ენისაგან მეცამეტე საუკუნის დადგომამდე. ტირის თეორიაშიც იგივე აზრი დევს, რასაც, როგორც ვაისგერბერი ამბობდა, სიტყვა ბგერების უბრალო გროვა არ არის და არც ენაა სიტყვათა უბრალო გროვა. როგორც ტირი ისე ვაისგერბერი ენობრივ მნიშვნელობათა მთლიანობის პრინციპს უჭერდა მხარს.

ტირის მიერ შემუშავებული ველის თეორია ეთანხმება იმ პრინციპებს, რასაც ლინგვისტიკაში ხშირად საპირ-უორფის ჰიპოთეზას უწოდებენ, რომ ყოველი ენა მთლიანი ფიზიკური სამყაროს თავისებურ დაყოფას ახდენს. ამგვარად, სტრუქტურის სემანტიკური განზომილება რეალობის შემადგენელი ელემენტების სტრუქტურაა, რაც აუცილებელი და საკმარისია იმისათვის, რომ ამ ენის მატარებელი ადამიანები უზრუნველყოს ამ რეალობის

აღნიშნული კოჰერენტული და ყოვლისმომცველი მნიშვნელობებით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემადგენელი ელემენტები შერჩევითია იმასთან მიმართებაში, თუ რას განსაზღვრავენ და ამ გაგებით უწყვეტობას მოკლებულია ტრირი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთლიანობაში ენის შემადგენელ ელემენტთა სისტემა ერთიანია. ტრირის ველის თეორიის მეორე ძირითადი მახასიათებელია კონცეპტუალური და ლექსიკური ველების გამიჯვნა. ლექსიკური ველი მოიცავს მოცემულ სიტყვას და მასთან კონცეპტუალურად დაკავშირებულ ყველა ცნებას. ტრირი ამტკიცებს, რომ ლექსიკური ველი ქმნის მთელ კონცეპტუალურ ველს ანუ აზრობრივ არეს. ველის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი შემადგენელი დამოუკიდებელი სიტყვები ერთ დამოუკიდებელ მთელს ქმნის. როგორც დინამიური სისტემა ველი ფუნქციონირებს მხოლოდ მეტყველებაში და ფუნქციონირებს როგორც მთელი (რედაქტ. Auroux, Koerner, Niederehe & Versteegh. ენათმეცნიერების ისტორია, 2001. გვ. 1653-1654)


როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრირის თეორია მომდინარეობს სტრუქტურალური თვალსაზრისიდან, რომელიც ვარაუდობს, რომ სიტყვის მნიშვნელობა დამოკიდებულია ძირითადად ამ სიტყვის სხვა სიტყვებთან გამიჯვნაზე. აქედან გამომდინარე, ყოველი ენობრივი ელემენტი ენობრივ სტრუქტურაში განიხილება, როგორც მოზაიკასავით ინტეგრირებული. სიტყვები იზოლირებულად კი არ არსებობს, არამედ სემანტიკურად ურთიერთდაკავშირებულ სიტყვებთან ერთად ქმნის ლექსიკურ ველს.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მსგავსება არსებობდა გ. იპსენის ენობრივი ველის კონცეფციასა და ველის შესახებ ტრირის თვალსაზრისს შორის, ტრირი თავს იპსენის მოწაფედ არ მიიჩნევდა, რადგან ამ უკანასკნელს არასდროს განუცხადებია ის, რომ ლექსიკური ველები მთელ ლექსიკას საზღვრავდა, რაც ტრირისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამასთან ერთად, წლების განმავლობაში იპსენის თვალსაზრისი იმგვარად განვითარდა, რომ მიუღებელი გახდა ტრირისთვის (რედაქტ. Auroux, Koerner, Niederehe & Versteegh. ენათმეცნიერების ისტორია, 2001. გვ. 1656)

ლექსიკური ველის მეტაფორულ ცნებას იმ თვალსაზრისმა დაუდო საფუძველი, რომ ენა აზროვნებასა და სამყაროს შორის შუალედურ კონცეპტუალურ დონეს შეადგენს - თუ რეალობას წარმოვიდგენთ, როგორც საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ სივრცეს, ენა ამ სივრცეზე გამავალი ხაზებია და ეს ხაზები კონცეპტუალურ ნაკვეთებად ჰყოფს ამ ველს.

ლექსიკური ველი სემანტიკურად დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულთა წყებაა, რომელთა მნიშვნელობები ურთიერთდამოკიდებულია და გარკვეული რეალობისთვის კონცეპტუალურ სტრუქტურას ქმნის. ველები ის რეალობაა, რომელიც ცალკეულ სიტყვასა და მთელ ლექსიკას შორისაა.

ტრირის თვალსაზრისს ენის შესახებ „ნეო-ჰუმბოლდტური“ უწოდეს. ულმანის (1964) თანახმად, ტრირის თეორიას ენის შესახებ მრავალი საერთო აქვს ჰუმბოლდტისა და სხვა გერმანელ მოაზროვნეთა იდეებთან, განსაკუთრებით ეუჟენ კომერიუს მოსაზრებებთან, მაგრამ ის ძირითადად სოსიურის პრინციპებს იყენებს. როგორც ულმანი აღნიშნავს (1964), „ძველი და შუა საუკუნეების გერმანული ინტელექტუალური ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლამ ტრირი დაარწმუნა, რომ არსებითად არასწორი იყო სიტყვების ცალცალკე განხილვა; ისინი იმ ლექსიკური ველის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს, რომელსაც ისინი ეკუთვნის“ (გვ. 17).



დიაგრამა 1. (გლიოცო & სტრაპარავა/Gliozzo & Strapparava, 2009. გვ. 13)

ტრირის მონოგრაფია სტრუქტურული სემანტიკის პირველი სერიოზული ნაშრომი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრირმა თავისი ლექსიკური ველის თეორია ძველი გერმანული ენის ინტელექტუალური ველის კვლევის მაგალითზე ააგო (1200 -1300წწ).

1200 წლისათვის მან ველის შემადგენელი სიტყვები სამი ძირითადი ცნების ირგვლივ განალაგა: „Weisheit“, „Kunst“ და „List“. „Kunst“-ი გულისხმობდა არისტოკრატიული და რაინდული უნარ-ჩვევების ცოდნას, ხოლო „List“-ი კი ცოდნას ამ სფეროს მიღმა. „Weisheit“-ი მათი ჰიპერნიმი იყო, რომელიც ორივე მნიშვნელობას მოიცავდა. ასი წლის შემდეგ სხვა

სურათი შეიქმნა. არისტოკრატიული სამყარო დაინგრა. ასე რომ არისტოკრატიული და არა-არისტოკრატიული ცოდნის განსხვავება აღარ იყო საჭირო. „List“- ის მნიშვნელობამ მისი თანამედროვე მნიშვნელობისკენ გადაიწია (ე.ი. ცოდნა, მოხერხება) და ინტელექტუალური ნიუანსები დაკარგა; ამდენად ის ჯერ არ ხვდება ინტელექტუალურ ველში.“ Kunst“-ის მნიშვნელობამაც მისი თანამედროვე მნიშვნელობისკენ გადაიწია, რაც ხელოვნების ცოდნას გულისხმობს. „Weisheit“-ი კი ახლა რელიგიურ ან მისტიკური გამოცდილებას აღნიშნავს, „Wissen“ კი ზოგადად ცოდნას ნიშნავს (გლიოცო& სტრაპარავა/ Gliozzo & Strapparava, 2009. გვ. 13).

სემანტიკური ველის თეორია ენის მთელი ლექსიკის სტრუქტურული ანალიზის საშუალებას იძლევა. მართალია, ლექსიკური ველის თეორია ძირითადად ტრირის სახელთან ასოცირდება, მაგრამ ლექსიკური ველის თეორია უშუალოდ გერმანელი ენათმეცნიერის ვაისგერბერის შეხედულებებზე აღმოცენდა. 1927 წელს ლეო ვაისგერბერმა საკმაოდ პოლემიკური ნაშრომი გამოაქვეყნა, სადაც ამოსავალ წერტილად გამოიყენა გერმანელი -ფსიქო-ლინგვისტის ჰეიმის ციტატა "Die Bedeutungslehre - ein Irrweg der Sprachwissenschaft?" (სემანტიკური თეორია - ლინგვისტიკის არასწორი მიმართულება?). (რედაქტ. Auroux, Koerner, Niederehe & Versteegh. ენათმეცნიერების ისტორია, 2001. გვ. 1600). ვაისგერბერს დიდ შეცდომად მიაჩნია სიტყვის მნიშვნელობის ფსიქოლოგიური ახსნა, რადგან ის ხელს უშლის ენის ადექვატურ ანალიზს სიმბოლური სისტემის სახით. ვაისგერბერის ეს სტატია ალბათ ლექსიკური სემანტიკის პირველი სერიოზული თეორია იყო.

ვაისგერბერის თანახმად, სიტყვის მნიშვნელობის კვლევა სემანტიკური სტრუქტურის კვლევას უნდა მოიცავდეს. ის დიაქრონული კი არ უნდა იყოს, არამედ სინქრონული, სიტყვის ლინგვისტური მნიშვნელობის კვლევა ავტონომიურად ლინგვისტური გზით უნდა მიმდინარეობდეს, ვინაიდან ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი ადგილით იმ ენობრივ სტრუქტურაში, რომლის ნაწილიც ის არის.

ვაისგერბერი გვთავაზობს სემანტიკურ ველის სამი სახის კლასიფიკაციას Feld, Teilfeld, Grosfeld, რითაც აჩვენებს, რომ ეს არის ტრირის მიერ შემოთავაზებული სემანტიკური ველების სტრუქტურის უთუო შედეგი. კიდევ ერთი პრობლემა, რასაც ვაისგერბერი ტრირის მიდგომაში ხედავს ეს არის ლინგვისტური და ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორების

ურთიერთზეგავლენა. ეს ეხება იმ ფაქტს, რომ ტრირმა ლინგვისტური ველებისა და კონცეპტუალური დომენების მკაცრი დიფერენცირება არ მოახდინა. ვაისგერბერი უფრო პოზიტიურად ეკიდება სემანტიკის ზოგიერთ ასპექტებს, ვიდრე ტრირი. მაგალითად, ომონიმის, რომელიც ძალიან პრობლემურია ველის თეორიისთვის, ტრირს გამორჩენილი აქვს (რედაქტ. Auroux, Koerner, Niederehe & Versteegh. ენათმეცნიერების ისტორია, 2001. გვ. 1656).

ლექსიკური ველის თეორიის ლოგიკური განვითარებაა კომპონენტური ანალიზი, რაც აშკარად გამოიკვეთა ევროპელი სტრუქტურალისტების, მაგალითად, ბერნარ პოტიეს შრომებში (გეერარტსი/Geeraerts, 2002. გვ. 25). ლექსიკურ ველი თავისთავად მოითხოვს ველის შიგნით ურთიერთდამოკიდებულებათა უფრო დეტალურ აღწერას. საკმარისი არ არის იმის თქმა, რომ ველში საგნები ურთიერთმიმართებაშია. ეს ურთიერთმიმართება უნდა დადგინდეს და განისაზღვროს. კომპონენტური ანალიზი სწორედ ასეთ ურთიერთმიმართებას სწავლობს.

შემდგომში ლექსიკური ველის თეორია განავითარა რუმინული წარმოშობის მეცნიერმა ეუჟენ კოშერიუმ და მისმა მიმდევრებმა. ენაში არსებობს მონათესავე სიტყვები სინონიმების, ანტონიმების, მერონიმების, ჰიპერნიმების და ჰიპონიმების სახით, რომელთა სისტემატიზირებული კვლევა ბრიტანელი მეცნიერის ჯონ ლაიონზის სახელს უკავშირდება. ასეთი მონათესავე სიტყვების სტრუქტურული ურთიერთდამოკიდებულების აღწერის იდეა რელატიური სემანტიკის შესწავლის საგანი გახდა. რელატიური სემანტიკა თეორიულ ლინგვისტიკაში გენერატიული ლინგვისტიკის საშუალებით შევიდა. რელატიური სემანტიკა კომპონენტურ ანალიზზე უფრო შორს მიდის ურთიერთდაკავშირებულ სიტყვებს შორის სტრუქტურული დამოკიდებულების შესახებ. ლაიონზმა ერთმანეთისგან განასხვავა კონცეპტუალური ველი და ლექსიკური ველი, შემდეგ კი ლექსიკური ველი და სემანტიკური ველი იმის მიხედვით თუ კონცეპტუალური ველი რას მოიცავს - მხოლოდ სიტყვებს თუ იდიომატურ გამოთქმებსაც. ლაიონზის თვალსაზრისი სტრუქტურული სემანტიკის შესახებ ერთგვარად აგრძელებს და სრულყოფს კოშერიუს თვალსაზრისს საწინააღმდეგო ურთიერთდამოკიდებულებათა შესახებ. ელეონორ როშის ნაშრომმა კატეგორიზაციის შესახებ ბიძგი მისცა კოგნიციური ლინგვისტიკის განვითარებას 1980-იანი წლების დასაწყისში (გეერარტსი/Geeraerts, 2002. გვ.

27). იგი თანამედროვე ლინგვისტიკის დამოკიდებულებას გამოხატავს ობიექტივისტური და გენერატიული გრამატიკისადმი, რომელიც გასულ საუკუნეში იყო გაბატონებული. კოგნიციური ლინგვისტიკა გვთავაზობს მოსაზრებას, რომ ენა ავტონომიური კოგნიტიური უნარი/ნიჭი კი არ არის, არამედ ადამიანის შემეცნების/კოგნიციის განუყოფელი ნაწილია და შინაარსისა და ფორმის ენობრივი ცოდნა არსებითად კონცეპტუალური სტრუქტურაა. ენა ადამიანის კონკრეტული კოგნიციური შესაძლებლობაა, მაგრამ კოგნიციური პროცესები, რაც ინახავს და იხსენებს ენობრივ და არაენობრივ ცოდნას, არსებითად იგივეა. ამიტომ არის, რომ კოგნიციურ მკვლევართა უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს კონცეპტების წყობაზე (ფრეიმები, დომენები, პროფილები) კონცეპტუალიზაციის რაოდენობაზე, ანუ კონსტრუქტურ ოპერაციებზე, როგორც უფრო ზოგად კოგნიციურ ინსტანციებზე, მაგალითად, ყურადღება/სიჩუმე, შედარება, პერსპექტივა, გეშტალტი. კოგნიციური ლინგვისტიკა მხოლოდ თეორია კი არ არის, არამედ მოქნილი ჩარჩოა. კოგნიციური ლინგვისტიკა კატეგორიის განსაზღვრისას ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომელიც რომელიმე ძირითადი წევრის აბსტრაქტულ დეფინიციას კი არ გვთავაზობს, არამედ შეიძლება მის აღწერილობას შეიცავდეს. (გეერარტსი/Geeraerts, 2002. გვ. 27). კოგნიციურ ლინგვისტიკას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ენა სულ მნიშვნელობებისაგან შედგება, თუმცა კოგნიციური ლინგვისტიკა ერთადერთი ლინგვისტური მეთოდია არ არის, რომელიც მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. სემანტიკაც მნიშვნელობას სწავლობს, მაგრამ კოგნიციურ ლინგვისტიკას თავისი განსაკუთრებული ნიშნები აქვს. კოგნიციური ლინგვისტიკა მნიშვნელობას პერსპექტივაში განიხილავს. როგორც კომპონენტური ანალიზი, ისე რელატიური სემანტიკა შემდგომში გენერატიულ გრამატიკაში გააერთიანეს და განავითარეს ამერიკელმა მეცნიერებმა ჯ. კატცმა და ჯ. ფოდორმა. მათი თვალსაზრისით, იქ, სადაც გრამატიკა არ არის, წინადადების შედგენისა და გაგების ფუნქცია სემანტიკის ვალია. სემანტიკური თეორიის ქვედა დომენის დონეზე განსაზღვრისათვის კაცმა ასეთი ფორმულირება ჩამოაყალიბა, „ლინგვისტურ მნიშვნელობას გამოკლებული გრამატიკა უდრის სემანტიკას“ (კატცი & ფოდორი/Katz & Fodor (1963. გვ. 173)

მათი აზრით, ერთადერთი რამ, რაც გაუგებარია სემანტიკურ თეორიასთან მიმართებაში ეს არის ის საკითხი, თუ ლექსიკონის გარდა კიდევ რა კომპონენტებს შეიცავს ის და სემანტიკური თეორიის ეს კომპონენტები რა მიმართებაშია ერთმანეთთან და გრამატიკასთან (კატცი & ფოდორი/Katz & Fodor, 1963. გვ. 182)

ლინგვისტიკის ამოსავალი წერტილი სტრუქტურული სემანტიკაა. სემანტიკური ველის თეორია კი წინ გადადგმული ნაბიჯია ლექსიკური სემანტიკისადმი სტრუქტურული მიდგომის შემდეგ. სემანტიკური ველები მთელ რიგ სიტყვათა საერთო კონცეპტუალური არეებია. თითოეული ველი ცალკე აზრობრივ არედ განიხილება, რომელიც ენის ლექსიკას მოიცავს. თითოეულ ველში სიტყვის მნიშვნელობა სხვა სიტყვებთან მიმართებაში განისაზღვრება.

სემანტიკური ველები ლექსიკურად კოჰერენტული სიტყვებია, რომლებსაც სემანტიკური ველი შეიცავს და რომლებიც ერთად გვხვდება ტექსტში.

2.2 კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამების ლინგვისტური პრობლემები

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მანქანური თარგმანის განვითარებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯების კვალდაკვალ აშკარა გახდა თარგმანის ლინგვისტური მიმართულებით კვლევის აუცილებლობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სიტყვათა მნიშვნელობის, პოლისემიური ანუ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების, სინონიმების, ჰომონიმების, ომონიმებისა და ჰიპერნიმების თარგმნის პრობლემების შესწავლამ. ჯერ კიდევ, 1963 წელს, როდესაც კომპიუტერი არ იყო ისე მასობრივი, როგორც ახლა და, შესაბამისად, მანქანური თარგმანით დაინტერესება ბევრადნაკლები იყო დღევანდელ დონესთან შედარებით, ამერიკელმა მეცნიერებმა ჯ. კატცმა და ჯ. ფოდორმა (1963) მანქანური თარგმანის შესახებ მსჯელობისას შემდეგი მოსაზრება ჩამოაყალიბეს:

წარმოვიდგინოთ, ინგლისელი, რომელიც სრულფასოვნად ფლობს ინგლისურ ენას, წარმოგვიდგენს უსასრულო რაოდენობის წინადადებებს და მათი სტრუქტურის ინგლისურ გრამატიკულ აღწერილობას. თუ გათვალისწინებთ მის დახვეწილ ინგლისურ ლექსიკას, რასაც ის თავისი ლინგვისტური უნარის დახმარებით იყენებს, ეს სრულფასოვნად მოსაუბრე ნებისმიერი გრამატიკული წყობის ნებისმიერი

წინადადების სემანტიკურ ინტერპრეტაციას შეძლებს. მას შეუძლია განსაზღვროს წაკითხული წინადადების რაოდენობა და შინაარსი, თქვას არის თუ არა წინადადება სემანტიკურად ანომალიური და გადაწყვიტოს რომელი წინადადება წარმოადგენს ურთიერთ პარაფრაზას. ახლა შევადაროთ მისი ნამუშავარი მანქანისას, რომელიც მექანიკურად იყენებს ინგლისურ ლექსიკონს, რომ წინადადების თითოეული მორფემა ლექსიკონის სტატიას დაუკავშიროს. ცხადია, ლექსიკონი, როგორც წესი, თითოულ ლექსიკურ ერთეულთან მიმართებაში უფრო მეტ მნიშვნელობებს მიაწვდის მანქანას, და არ მართო იმ მნიშვნელობას, რაც ამ ლექსიკურ ერთეულს აქვს ამ კონკრეტულ წინადადებაში ნებისმიერ ადგილზე მოხვედრისას. მაგრამ მანქანა ვერ შეძლებს შეარჩიოს ის მნიშვნელობა თუ მნიშვნელობები, რაც ამ მორფემას რეალურად აკისრია მოცემული წინადადების კონტექსტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შერჩევა უკვე განპირობებულია მორფემისთვის წინადადების შედგენისას დართული გრამატიკული ნიშნებით. (ამგვარად, მანქანა შეძლებს აირჩიოს „seal“ ზმნის სწორი ფორმა, როცა წერია „Seal the letter“ - დაბეჭდე წერილი. იმდენად, რამდენადაც არჩევანი განისაზღვრება იმით, რომ ამ წინადადებაში „seal“ აღნიშნულია, როგორც ზმნა, ხოლო სიტყვა „seal“-ის სწორი მნიშვნელობა წინადადებაში - „The seal is on the letter“ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამ წინადადებაში „seal“ აღნიშნება როგორც არსებითი სახელი. მაგრამ წინადადებაში „One of the oil seals in my car is leaking“ მანქანა ვერ შეძლებს გაარჩიოს სიტყვა „seal“-ის სწორი მნიშვნელობა ისეთი არასწორი მნიშვნელობებიდან, როგორც არის “მოწყობილობა, რომელსაც ისეთი ფორმა აქვს, რომ ასეთ შთაბეჭდილებას ემნის“ ან “ასეთი მოწყობილობით წარმოქმნილი გამოსახულება“ ან „მასალა, რომელზეც ასეთი გამოსახულებაა“ ან „ორნამენტული ან სამახსოვრო შტამპი“ და სხვ. ყველა ამ მნიშვნელობების გამოყენება სიტყვა „seal“-ისთვის ნომინალურია). საქმე იმაშია, რომ მანქანა ვერ გაითვალისწინებს და ვერ გამოიყენებს წინადადებაში მორფემათა შორის სემანტიკურ ურთიერთდამოკიდებულებებს. ამიტომაც, არის რომ მანქანას არ შეუძლია განსაზღვროს წაკითხული წინადადების რაოდენობა და შინაარსი, ვერც სემანტიკურად ანომალიურ წინადადებას გაარჩევს და ვერც სემანტიკურად სწორ წინადადებას. მას შემდეგ, რაც კომპიუტერი ლექსიკონის სტატიას წინადადების

თითოეულ მორფესთან დააკავშირებს ვერ გაარჩევს, რა შემთხვევაში რომელი მნიშვნელობა უნდა გამოიყენოს ამ წინადადებისათვის ლექსიკონის მარაგიდან. (მაგ., მანქანა ვერ გაარჩევს წინადადებას „The wall is covered with silent paint წინადადებისგანა The wall is covered with fresh paint.“). დაბოლოს, მანქანა ვერცერთ შემთხვევაში ვერ გვეტყვის, ამ წინადადებებიდან რომელი წარმოადგენს ურთიერთ პარაფრაზას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინადადებებს ზუსტად ერთნაირი სინტაქსური სტრუქტურა აქვს და შესაბამისი სიტყვები ან იდენტურია ან სინონიმური (კატცი & ფოდორი/Katz & Fodor, 1963. გვ. 182)

ამგვარად, ეს მეცნიერები ნახევარი საუკუნის წინ მსჯელობდნენ იმ პრობლემაზე, რაც დღეს ასე აქტუალურია კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამებისთვის. დღესაც ფაქტია, რომ ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნისას კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ უმეტეს შემთხვევაში მანქანა ვერ ახერხებს მოცემული ლექსიკური ერთეულისთვის კონკრეტული კონტექსტის ეკვივალენტური მნიშვნელობა შეარჩიოს, ვინაიდან სალექსიკონო სტატიები ყველა იმ მნიშვნელობას აღწერს, რაც კი ამ ლექსიკურ ერთეულს საერთოდ შეიძლება ჰქონდეს რომელიმე კონტექსტში. მაგალითად, ავიღოთ ერთი ნაწყვეტი ადამ სმიტის (2007) ცნობილი ნაშრომიდან „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“:

The first public stamps of this kind that were affixed to the current metals, seem in many cases to have been intended to ascertain, what it was both most difficult and most important to ascertain, the goodness or fineness of the metal, and to have resembled the sterling mark which is at present affixed to plate and bars of silver, or the Spanish mark which is sometimes affixed to ingots of gold, and which being struck only upon one side of the piece, and not covering the whole surface, ascertains the fineness, but not the weight of the metal. (გვ. 24)

შესაბამისად, ფილიპე გოგიჩაიშვილის (1938) მიერ შესრულებულ თარგმანში ვკითხულობთ: პირველ ამგვარ საჯარო დამღას, რომელსაც მიმოქცევაში მყოფ ლითონებს ადებდნენ, როგორც ეტყობა, ბევრ შემთხვევაში მიზნად ჰქონდა დაედასტურებია ის, რის დადასტურებას ყველაზე უფრო ძნელი და მნიშვნელოვანი იყო: სახელდობრ ლითონის ვარგისობა ანუ სიწმინდე; ის დამღა ჰგვანდა სინჯს, რომელსაც ამჟამად ადებენ ვერცხლის ჭურჭელს და ზოდებს, ანდა ჰგვანდა ესპანურ სინჯს, რომელსაც ხანდახან ადებენ ოქროს

ზოდებს და რომელიც, რადგან იგი დადებულია ზოდის ერთ მხარეზე არ ჰფარავს მთელ მის ფართობს, ადასტურებს ლითონის სიწმინდეს, მაგრამ არა მის წონას (გვ. 20)

საილუსტრაციოდ იგივე ტექსტი ვთარგმნეთ ამჟამად ჩვენთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული მთარგმნელობითი პროგრამის „Google Translate“- ის საშუალებით, რამაც შემდეგი სახის შედეგი მოგვცა:

ამ ტიპის პირველი საზოგადოებრივი მარკები, რომლებიც ამ ლითონებს შეადგენდნენ, ბევრს იჩენს საქმეები, რომლებიც აპირებდნენ გაერკვეს, რა იყო ყველაზე რთული და ყველაზე მნიშვნელოვანი დარწმუნდით, რომ ლითონის სიკეთე ან სიკეთე და სტერლინგს აღსანიშნავად რომელიც დღესდღეობითაა განკუთვნილი ვერცხლის ფირფიტაზე, ან ესპანურ ნიშანზე, რომელიც ხანდახან რომელიც შედის ოქროში, და რომელიც მხოლოდ ერთი ნაწილისა და არა დაფარავს მთელ ზედაპირს, აუმჯობესებს სიმართლეს, მაგრამ არა ლითონის წონა.

რასაკვირველია, მთლიანად თარგმანი სრულიად არაადეკვატურია, მაგრამ აქ მხოლოდ ორ ტერმინს გამოვყოფთ განსაკუთრებულად. სიტყვა „stamp“ დიდ ინგლისურ-ქართულ ელექტრონულ ლექსიკონში შემდეგი მნიშვნელობით არის თარგმნილი: 1. საფოსტო მარკა, 2. შტამპი, შტამპელი, ბეჭედი (ხელსაწყო); შტამპი, შტამპელი, ბეჭედი (ანაბეჭედი); 3. ნიშანი, კვალი, დამახასიათებელი თავისებურება, დადი; 4. ფეხის ბაკუნი (Retrieved March 20, 2016, from <https://dictionary.geh>).

ეს იმას გულისხმობს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (კატცი & ფოდორი/Katz & Fodor, 1963. გვ. 182), მანქანას მნიშვნელობათა დიდი რაოდენობა მიაწოდა ლექსიკონმა, მაგრამ მანქანამ ვერ გაითვალისწინა მორფემათა შორის სემანტიკურ

ურთიერთდამოკიდებულებები, შესაბამისად, სწორად ვერ შეარჩია სიტყვის საჭირო მნიშვნელობა და სწორად ვერ გამოიყენა წინადადებაში.

მეორე შემთხვევაში სიტყვა „mark“ იმავე მნიშვნელობით არის გამოყენებული, როგორც „stamp“, ანუ ამ შემთხვევაში მისი სინონიმია, თუმცა აქაც სულ სხვა თარგმანი მივიღეთ. შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკურად მივედით კომპიუტერული პროგრამების ერთ-ერთ მთავარ ლინგვისტურ პრობლემასთან - ეს არის პოლისემიური მნიშვნელობის მქონე სიტყვების, სინონიმების, ჰიპონიმების, ომონიმებისა და ჰიპერნიმების თარგმნის პრობლემა.

2.3 პოლისემია და სინონიმია

პოლისემია ნიშავს სიტყვის ან ფრაზის ორი ან მეტი განსხვავებული მნიშვნელობის ერთდროულად არსებობას. პოლისემიური მნიშვნელობები თითქმის ყველა ენას ახასიათებს. როგორც ქართული, ისე ინგლისური ენა ძალიან მდიდარია პოლისემიური სიტყვებითა თუ სინონიმებით, რაც ერთი მხრივ, ენის ლექსიკური მრავალფეროვნების გამომხატველია, ხოლო მეორე მხრივ, ზოგჯერ ერთგვარ გაურკვევლობას იწვევს, და დიდ თავსატეხს უჩენს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს ლინგვისტებს, მთარგმნელებს, პროგრამისტებს. როგორც ზემოთმოყვანილ მაგალითში ვნახეთ, პოლისემიური მნიშვნელობები განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს მანქანური თარგმანისათვის. ზოგადად ენა ორი სიბრტყის სახით განიხილება - შინაარსობრივ სიბრტყედ და გამოხატვის სიბრტყედ, ამ ორი სიბრტყის ურთიერთშესაბამისობის სირთულეც განსაკუთრებით ნათლად ჩანს ისეთი ფენომენის მაგალითზე, როგორც არის პოლისემია, ჰომონიმია და სინონიმია (ბლოხი / Blokh, 1983, გვ.10). პოლისემიის ფენომენს დიდი ხანია სხვადასხვა კუთხით განიხილავენ ლინგვისტები თუ ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები, დისკუსია კვლავ გრძელდება სხვადასხვა კატეგორიის პოლისემიურ მნიშვნელობათა მიმართულებით. ჩვენი კვლევის ფარგლებში, ბიზნეს ტერმინოლოგიის თავალსაზრისით პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობის რეალიზაცია უმთავრესად კონტექსტზეა დამოკიდებული. ზოგადად კონტექსტი დიდ როლს ასრულებს ტერმინოლოგიის თარგმნისას, მაგალითად, განვიხილოთ ინგლისური სიტყვა „goods“ და ქართული სიტყვა „საქონელი“, როგორც აღვნიშნეთ . ქართულში სიტყვა „საქონელი“ ორი სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება: „1. შინაური ჩლიქოსანი ცხოველები“; „2. შრომის პროდუქტი, რომელსაც ამზადებენ გასაყიდად, გასაცვლელად.“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 გვ. 399). ეს ორი სიტყვა ფორმით ერთნაირია, მაგრამ არსი სხვადასხვა აქვს ანუ ომონიმებია. „საქონელი“ ერთი მნიშვნელობით ცხოველს აღნიშნავს, მეორე მნიშვნელობით, ეკონომიკურ პროდუქციას. ჩვენი მოსაზრებით, მისი ამ მნიშვნელობით გამოყენება იმ ფაქტს უკავშირდება, რომ საქონელს (ცხოველს) გაცვლის საშუალებად იყენებდნენ და სწორედ იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც საქონელს ფულის ფუნქცია ჰქონდა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986. გვ. 399).

ამ შემთხვევაში ერთგვარი ლოგიკური კავშირი არსებობს ამ ომონიმებს შორის, მაგრამ არსებობს ომონიმები, რომელთა შორის არანაირი ლოგიკური კავშირი არ არის. რადგან ჩვენ ძირითადად ფულის თემატური სივრცე გვინტერესებს, მაგალითისათვის განვიხილოთ სიტყვა „სახსარი“ - „სახსრები“.

ისევე განმარტებითი ლექსიკონი მოვიშველიოთ: სახსარ-ი 1. ძვლების დაბოლოებათა მოძრავი შეერთება. 2. (გადატან.) მანქანის ნაწილების მოძრავი შეერთების ადგილი. 3. მრ. სახსრები - ფულადი თანხა რაიმე საჭიროებისთვის. 4. საშუალება, შესაძლებლობა, წყარო. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა არის „means“. დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის თანახმად ამ სიტყვის მნიშვნელობა კიდევ უფრო მრავალფეროვანია, როგორც მხოლოდით ისე მრავლობით რიცხვში, მათ შორის: საშუალება, ხერხი, მეთოდი, საშუალებები, სახსრები, ქონება, სიმდიდრე.

სიტყვა „value“-ს შემთხვევაში დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში ქართულად სამი ძირითადი მნიშვნელობაა მოცემული: 1. ღირებულება, ფასი; 2. სარგებლიანობა, დიდი მიშვნელობა ფასი; 3. სიდიდე, მნიშვნელობა. მაგალითად, ადამ სმიტის (2007) ცნობილ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ სწორედ იმაზეა საუბარი, რომ ვაჭრობის ერთეულად უძველეს დროში მსხვილფეხა საქონელი გამოიყენებოდა: “The things which have the greatest value in use have frequently little or no value in exchange; and, on the contrary, those which have the greatest value in exchange have frequently little or no value in use” (სმითი /Smith, 2007. გვ. 25).

შესაბამისად, ფილიპე გოგიჩაიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანშიც ზუსტად ამ მნიშვნელობით არის გადმოტანილი: „საგნებს, რომლებსაც ფრიად დიდი სახმარი ღირებულება აქვს, ხშირად აქვს მცირე ან სრულად არა აქვს საცვლელი ღირებულება; პირიქით, საგნებს, რომლებსაც ფრიად დიდი საცვლელი ღირებულება აქვს, ხშირად აქვს მცირე ან სრულიად არა აქვს სახმარი ღირებულება“ (გოგიჩაიშვილი (მთარგმნ.), 1938, გვ. 22) ამ შემთხვევაში ტექსტის კონტექსტი ეკონომიკასა და ბიზნესთან არის დაკავშირებული. ამდენად, კონტექსტის მხედვით სწორედ „ღირებულება“ სწორი შესატყვისი, მაგრამ მათემატიკური ტექსტის კონტექსტში ეს მნიშვნელობა არ გამოდგება. მაგალითად, ასეთ წინადადებაში, როგორც არის - „ $2x + 5 = 15$, where x is an unknown value” - სიტყვა „value“ არც ღირებულებას ნიშნავს და არც ფასს, და შეიძლება მისი მესამე მნიშვნელობა „სიდიდე“

გამოვიყენოთ: „ $2x + 5 = 15$, სადაც x არის უცნობი სიდიდე” ან „ $2x + 5 = 15$, სადაც x -ს მნიშვნელობა უცნობია”.

გრეგორი მენქიუსი (2007) „ეკონომიკის პრინციპების“ ერთ-ერთ ქვესათაურში ვკითხულობთ, „Differences in values“, შესაბამისად, ქართულად ნათარგმნია როგორც „განსხვავებები ფასეულობებში“. იქვე ტექსტის ბოლო ნაწილში ვკითხულობთ: „Economists give conflicting advice sometimes because they have different values,“ რაც ქართულად ასეა ნათარგმნი: „ეკონომისტები ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო რჩევებს იძლევიან, რადგან სხვადასხვა შეხედულებები აქვთ.“ ცოტა ქვემოთ კი შემდეგი წინადადება: „Because of differences in scientific judgments and differences in values, some disagreement among economists is inevitable“ (მენქიუ/Mankiw. გვ.35), სახელმძღვანელოს ქართულ ვარიანტში კი ასეა: „მეცნიერულ მსჯელობასა და შეხედულებებში არსებული განსხვავებების გამო გარკვეული უთანხმოება ეკონომისტებს შორის გარდაუვალია“ (მენქიუ/Mankiw. გვ.33)

ელექტრონული მთარგმნელობითი პროგრამის შედეგები კი ასეთია: „Differences in values“, - განსხვავებები ღირებულებებში. „Because of differences in scientific judgments and differences in values, some disagreement among economists is inevitable“ -მეცნიერული გადაწყვეტილებებისა და ღირებულებებში განსხვავებების გამო, ეკონომისტებს შორის გარკვეული უთანხმოება გარდაუვალია. „Economists give conflicting advice sometimes because they have different values“ - "ეკონომისტები ხანდახან კონფლიქტურ რჩევას აძლევენ, რადგან მათ განსხვავებული ღირებულებები აქვთ“.

ამჯერად, ელექტრონული მთარგმნელობითი პროგრამის „Google Translate“- ის მიერ შესრულებულ თარგმანში სამივე შემთხვევაში „values“ ითარგმნა, როგორც „ღირებულებები“, რაც ჩვენი აზრით ლოგიკურია. რაც შეეხება სახელმძღვანელოში მოცემულ თარგმანს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელებებსა და სხვადასხვა სინონიმების შერჩევასთან გვაქვს საქმე.

მანქანური თარგმანისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს ომონიმიაც. ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითი, რომ ქართულში საქონელს ორი სულ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ეს ორი მნიშვნელობა სწორედ ომონიმების ნიმუშს წარმოადგენს. მათ ფორმათა შორის სრული დამთხვევაა, მაგრამ შინაარსობრივად დიდი განსხვავებაა. თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეტიმოლოგიურად შეიძლება მათ შორის რამე ლოგიკური კავშირი არსებობდეს.

ზოგადად, ომონიმების წარმოშობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, ეს შეიძლება იყოს სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვების ზეგავლენა, ენაში არსებული დიალექტების ზეგავლენა, სიტყვის ძირის ცვლილებით წარმოქმნილი ახალი სიტყვები და სხვ. ყოველ პროფესიას, ყოველ საქმიანობას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ენა, საკუთარი ჟარგონი გააჩნია. სამედიცინო, საინჟინრო, იურიდიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ტექსტი შეძლება გაუგებარი იყოს სხვა პროფესიის ადამიანისთვის. ერთსა და იმავე სიტყვას შეიძლება ეკონომისტისთვის სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს და ლინგვისტისთვის სხვა, შეიძლება ერთ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს და მეორეში სხვა. სიტყვის მნიშვნელობის ასეთმა თავისებურებამ განაპირობა ლინგვისტთა კონტექსტით დაინტერესება. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში სწორედ კონტექსტი თამაშობს მთავარ როლს პოლისემიური სიტყვებისა და ომონიმების მნიშვნელობათა სწორად გაგებასა და თარგმნაში. სწორედ კონტექსტია ის მთავარი ფაქტორი, რაც ტერმინოლოგიის ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე სწორად გადმოტანას განაპირობებს, რადგან როგორც ინგლისური ისე ქართული ენა უხვად არის დატვირთული პოლისემიური მნიშვნელობებით. თავის მხრივ კონტექსტი სხვადასხვა ასპექტში შეიძლება სხვადასხვა რამეს გულისხმობდეს. სალექსიკონო განმარტებების თანახმად კონტექსტი არის - situation, events, or information that are related to something and that help you to understand it - კონკრეტული რამესთან დაკავშირებული ვითარება, მოვლენები ან ინფორმაცია, რაც მის გაგებაში გვეხმარება (Retrieved May 2, 2016, from <https://www.ldoceonline.com/dictionary/context>) ან - the parts of a discourse that surround a word or passage and can throw light on its meaning - სიტყვის ან ტექსტის ირგვლივ მოცემული დისკურსის ნაწილი, რომელიც ნათელს ხდის მის მნიშვნელობას (Retrieved March 2, 2016, from <https://www.merriam-webster.com/dictionary/context>). ჩვენთვის კონტექსტი სწორედ იმ თვალსაზრისით არის საინტერესო, რომ სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში დაგვეხმაროს. ქვემოთ მოცემულ მაგალითში სწორედ მთელი კონტექსტი განაპირობებს, რომ „value“ -ს მნიშვნელობა არის “ღირებულება“:

GDP is the sum of value added in the economy during a given period. The term value added means exactly what it suggests. The value added by a firm is defined as the value of its production minus the value of the intermediate goods used in production. In our two-firm example, the steel company

does not use intermediate goods. Its value added is simply equal to the value of the steel it produces, €100. The car company, however, uses steel as an intermediate good. Thus, the value added by the car company is equal to the value of the cars it produces minus the value of the steel it uses in production, €200 – €100 = €100. Total value added in the economy, or GDP, equals €100 (the value added of the steel company) + €100 (the value added of the car company) = €200. (Note that aggregate value added would remain the same if the steel and car firms merged and became a single firm. In this case, we would not observe intermediate goods at all – as steel would be produced and then used to produce cars within the single firm – and the value added in the single firm would simply be equal to the value of cars, €200.) This definition gives us a second way of thinking about GDP. Put together, the two definitions imply that the value of final goods and services – the first definition of GDP – can also be thought of as the sum of the value added by all the firms in the economy – the second definition of GDP (ბლანშარი/Blanchard, 2010. გვ.17)

შესაბამისად, თარგმანში ვკითხულობთ:

მთლიანი შიდა პროდუქტი არის ეკონომიკაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში შექმნილი დამატებული ღირებულებების ჯამი. ტერმინი “დამატებული ღირებულება” გულისხმობს ზუსტად იმას, რაზეც მიგვანიშნებს. ფირმის მიერ დამატებული ღირებულება განისაზღვრება მის მიერ წარმოებული ღირებულებიდან წარმოებაში გამოყენებული შუალედური პროდუქტის ღირებულების გამოკლებით. ჩვენს მაგალითში, სადაც ორი ფირმაა, მეტალურგიული კომპანია არ სარგებლობს შუალედური საქონლით (ნახევარ ფაბრიკატებით). მისი დამატებული ღირებულება უბრალოდ წარმოებული ფოლადის ღირებულების – 100 დოლარის ტოლია. საავტომობილო კომპანია ფოლადს, როგორც შუალედურ საქონელს, ისე იყენებს. ამგვარად, საავტომობილო კომპანიის მიერ დამატებული ღირებულება მის მიერ წარმოებული ავტომობილის ღირებულებისა და გამოყენებული ფოლადის ღირებულების სხვაობის ტოლია $\$200 - \$100 = \$100$. მთლიანი დამატებული ღირებულება ეკონომიკაში, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტი, ტოლია $\$100 + \$100 = \$200$ (შევნიშნოთ, რომ ერთობლივი დამატებული ღირებულება ამდენივე იქნებოდა, თუკი მეტალურგიული და საავტომობილო კომპანიები შერწყმის შედეგად ერთ კომპანიად გადაიქცეოდა. ამ შემთხვევაში, ჩვენ საერთოდ ვერ შევამჩნევდით შუალედურ საქონელს, რადგან ერთი ფირმის ფარგლებში ფოლადი ავტომობილის გამოსაშვებად

იქნებოდა წარმოებული და დამატებული ღირებულება ამ ერთ ფირმაში, უბრალოდ, გაუტოლდებოდა ავტომობილის ღირებულებას – 200 დოლარს). ეს განმარტება მთლიანი შიდა პროდუქტი გაანგარიშების მეორე მეთოდს გვთავაზობს. ერთად აღებული ეს ორი განმარტება გულისხმობს, რომ საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულება მთლიანი შიდა პროდუქტის პირველი დეფინიცია) შესაძლებელია გავიაზროთ, როგორც ეკონომიკაში ყველა ფირმის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამი მთლიანი შიდა პროდუქტის მეორე დეფინიცია) (ბლანშარი/Blanchard, 2010. გვ.29)

თუ ამ ნიმუშში მოცემული „value“-ს მნიშვნელობას ზემოთ 2.2-ში მოყვანილი კონტექსტში მოცემული „value“-ს მნიშვნელობას შევუდარებთ - Because of differences in scientific judgments and differences in values, some disagreement among economists is inevitable“ - მეცნიერული გადაწყვეტილებებსა და ღირებულებებში განსხვავებების გამო, ეკონომისტებს შორის გარკვეული უთანხმოება გარდაუვალია“ - აქ არ მართო პოლისემიასთან გვაქვს საქმე, არამედ ომონიმებთანაც, ხოლო ქართულ თარგმანში გადმოტანილი მათი მნიშვნელობანი სინონიმებადაც შეგვიძლია განვიხილოთ.

ინგლისელი მეცნიერი ჯ. ფერთი (1969) ყურადღებას ამახვილებს სიტყვის კონტექსტურ მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ ახალ კონტექსტში გამოყენებული ყოველი სიტყვა უკვე ახალი სიტყვაა (გვ.52). მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვა „devaluation“. ლანშარის მაკროეკონომიკაში ვკითხულობთ: „devaluation - A decrease in the exchange rate in a fixed exchange rate system“ (ბლანშარი/Blanchard, 2010. 564), რაც შესაბამისად ქართულ თარგმანში გადმოტანილია, როგორც: „დევალვაცია (devaluation) - ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის პირობებში გაცვლითი კურსის შემცირება“ (ბლანშარი/Blanchard, 2010. გვ.904). ამ შემთხვევაში „value“ არა მართო ახალ კონტექსტშია, არამედ მისგან სრულიად ახალი სიტყვაა ნაწარმოები.

სიტყვის მნიშვნელობის ადეკვატურად გადატანას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. როგორც ქეთფორდი, (1965) აღნიშნავს, „თარგმანს მოეთხოვება იგივე მნიშვნელობა ჰქონდეს, რაც ორიგინალს“ (ქეთფორდი/Catford, გვ. 35).

სიტყვების მნიშვნელობების გასაგებად ჩარლზ ფილმორს მნიშვნელოვნად მიაჩნია (1982) იმ ფრეიმული სემანტიკის ცოდნა, რაც მათ გამოყენებას უდევს საფუძლად. ფრეიმული

სემანტიკა ახლებურად გვიჩვენებს სიტყვის მნიშვნელობას და აგრეთვე ახალი სიტყვებისა და ფრაზების წარმოქმნის ახალ პრინციპებს გვთავაზობს (გვ. 111).

ფილმორს ფრეიმის მაგალითად კომერციული ტრანზაქცია მოჰყავს, რომელიც ფრეიმულ ელემენტებს მოიცავს, როგორცაა მყიდველი, გამყიდველი, საქონელი და ფულადი თანხა, რომლებიც კომერციული ტრანზაქციაში მონაწილეობს (ფილმორი/Fillmore გვ.116). ამ თვალსაზრისით, ჩვენი კვლევისთვის ძალზედ საინტერესოა. თითოეულ ფრეიმთან დაკავშირებული მიზნობრივი სიტყვებია, მაგალითად, კომერციული ტრანზაქციისთვის დამახასიათებელი სიტყვები: ყიდვა, გაყიდვა, დახარჯვა, ღირებულება, დარიცხვა, ფასი, ხურდა, დებეტი, კრედიტი, ვაჭარი, ბროკერი, მალაზია ფემქაში, ქირა საფასური, ჰონორარი, სწავლის საფასური, ფულის გადარიცხვა, შემოსავალი, გასავალი, რაც უშუალოდ ჩვენი კვლევის სფეროს წარმოადგენს.

ფრეიმული სემანტიკა ერთგვარად ემპირიულ სემანტიკასა და აღწერილობით ჩარჩოს უკავშირდება. ჩვენი კვლევის ფარგლებში შესაძლებელია გარკვეულწილად ფრეიმული სემანტიკის საფუძვლებიც გამოვიყენოთ, ვინაიდან ის სიტყვების მნიშვნელობათა გადმოცემის განსაკუთრებულ გზას და აგრეთვე სიტყვებისათვის ახალი მნიშვნელობის მისანიჭებლად და ტექსტის ელემენტების მნიშვნელობათა ტექსტის მთლიან კონტექსტში ჩასასმელად ახალი სიტყვებისა და ფრაზების წარმოების პრინციპებს გვთავაზობს.

ფრეიმული სემანტიკა ფართოდ გამოიყენება ლინგვისტიკის სხვადასხვა სფეროში. ამასთანავე, ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს კატეგორიებს. სიტყვები წარმოადგენს გამოცდილების/განცდილის კატეგორიებად დაყოფას. კატეგორიების შინაგან სტრუქტურას ფარდა ახადა რომის ნაშრომმა კატეგორიების შესახებ. ფერის კატეგორიებს ადამიანის გონება ამუშავებს (ენა სწავლობს, იმახსოვრებს, აღნიშნავს და ენაში ვითარდება) მისი შიდა სტრუქტურების თვალსაზრისით; როგორც ჩანს ფერის კატეგორიები ცნობიერებაში წარმოადგენილია არა როგორც კრიტერიუმების აშკარად გამიჯნული ნიშნები, არამედ კატეგორიის პროტიპის სახით (ნათელი შემთხვევა, საუკეთესო ნიმუშები), რომელსაც პროტოტიპთან უფრო ნაკლებ მსგავსი და წევრობის ნაკლები ხარისხის მქონე სხვა ფერები აკრავს გარს.“ (როში/Rosch, გვ. 193)

ფერთა კატეგორიების შემდეგ რომმა სხვა საგნების კატეგორიზაციაზეც განაგრძო მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ სიტყვის პროტოტიპული კატეგორიის წევრი არის სიტყვის

მნიშვნელობა, ხოლო სიტყვის რეფერენციული პოტენციალი პროტოტიპთან მსგავსების ფუნქციაა. არსებობს კატეგორიები, რომლისთვისაც ეს შესაძლებელია, მაგალითად ფერთა ძირითადი კატეგორიები და შესაძლოა ჭურჭელიც (ფინჯნები, თასები, ვაზები).

(ტელიორი/Taylor, 2008. გვ. 40) .

2.4 სემანტიკური დომენები.

დღეს სტრუქტურალიზმის მონაპოვარი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის კომპიუტერულ ლინგვისტიკაშიც. სემანტიკური ველის თეორიაზე დაყრდნობით ლექსიკური სემანტიკის ახალ კომპიუტერულ მოდელს გვთავაზობენ კომპიუტერული ლინგვისტიკის ცალკეული სპეციალიტები „სემანტიკური დომენების“ სახელწოდებით. მათი აზრით, „სემანტიკური დომენები“ საშუალებას მოგვცემს ტექსტების, ცნებების, ტერმინების და კონცეპტების დომენური მახასიათებლები გამოვიკვლიოთ, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს ბუნებრივი ენის საპროცესო სისტემის ეფექტიანობას. სხვადასხვა ენის სემანტიკურ ველებს შორის აშკარა ურთიერთშესაბამისობა არებობს, მაგრამ სხვადასხვა ენის ველი სრულიად განსხვავებულ ტერმინოლოგიას მოიცავს. სწორედ ეს ქმნის თარგმანის აუცილებლობას.

„სემანტიკური დომენები ტერმინებისა და ტექსტების კლასტერია, რომელიც ლექსიკური კოჰერენტულობის უმაღლეს დონეს ამჟღავნებს, ანუ ტექსტში ერთი დომენის სიტყვების ერთად მოხვედრის ტექსტებში თვისებას“ (გლიოცო/Gliozzo&სტრაპარავა/Strapparava, 2009 გვ. 13) „სემანტიკური დომენები“ შეიძლება შეიქმნას არსებული ლექსიკური რესურსებიდან ან ავტომატურად მოხდეს მათი ენის კორპუსიდან მოძიება. ისინი შეიძლება გამოყენებულ იყოს სხვადასხვა ენათა კონტექსტში სხვადასხვა ენაზე არსებულ სიტყვათა/ცნებათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

დღევანდელ პირობებში უამრავი ლექსიკონი არსებობს ტოპონიმების, სინონიმების, იდიომების, უცხო სიტყვების, ფრაზალური ზმნების, და სხვ., შესახებ, სადაც უამრავი სიტყვა და სიტყვთშეთანხმებაა მოცემული. პროფესორი ნიუმარკი მთარგმნელებს შემდეგი ლექსიკონების გამოყენებას ურჩევს: Collins English Dictionary, Concise Oxford and Longman's Dictionary of the English Language (1984); Roget; Webster (three volumes); EB

{Encyclopaedia Britannica); Micropaedia; Rinehardt Dictionaries of New English and the Supplements to the Oxford English Dictionary; Oxford English Dictionary/OED; A. Reum's Dictionary of English Style; Bullock and Stallybrass's Fontana Dictionary of Modern Thought; Roger Scruton's Dictionary of Political Thought; Raymond Williams's Key Words; Edward de Bono's Word Power; Antony Flew's Dictionary of Philosophy (ნიუმარკი : 175). ადვილი წარმოსადგენია რა შრომატევადი იქნება მთარგმნელისთვის თითოეული პრობლემური სიტყვის შესატყვისის ძიება ამ ლექსიკონებში. ამიტომ, ძალიან აქტუალური მნიშვნელობა შეიძინა ელექტრონულმა ლექსიკონებმა და ელექტრონულმა თუ მანქანურმა მთარგმნელობითმა პროგრამებმა.

კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამები რთულ ალგორითმებზეა აგებული, რაც მოქმედებათა მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით შესრულებისას აღწევს სასურველ შედეგს. მთარგმნელობითი პროგრამა წამებში ამუშავებს უთვალავ დოკუმენტს და შესაფერის თარგმებს ეძებს, რომ ორიგინალის ენა და სამიზნე ენა ერთმანეთს შეუსაბამოს. ეს საკმაოდ რთულია, როდესაც სრულიად განსხვავებულ ენებთან გვაქვს საქმე.

1985 წელს პრინსტონის უნივერსიტეტის კოგნიციური მეცნიერების ლაბორატორიაში ჯერ ამერიკელი ფსიქოლოგის ჯორჯ მილერის და შემდეგ ქრისტიან ფელბაუმის ხელმძღვანელობით შეიქმნა ინგლისური ენის ლექსიკურ მონაცემთა ბაზა WordNet-ი, სადაც საბაზისო ერთეულს წარმოადგენს არა თვითონ სიტყვა არამედ ინგლისურ სიტყვათა სინონიმური რიგი-სინსეტი (synset), სადაც მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები დაჯგუფებულია როგორც: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა და ზმნიზედა. იქვე მოცემულია მათი განმარტებები, მაგალითები და ამ სინონიმთა ურთიერთმიმართება. ამგვარად, WordNet-ი ერთდროულად ლექსიკონიც არის და თესაურუსიც.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია თესაურუსი პირველად 1852 წელს გამოსცა 19-ე საუკუნის ცნობილმა ბრიტანელმა ფიზიკოსმა, ფიზიოლოგმა, მათემატიკოსმა, გამომგონებელმა, მწერლმა და რედაქტორმა პიტერ მარკ როჯეტმა. ეს იყო სიტყვათა მნიშვნელობების მიხედვით დალაგებული კატალოგი სახელწოდებით Thesaurus of English Words and Phrases Classified and Arranged so as to Facilitate the Expression of Ideas and Assist in

Literary Composition, რაც დღეს “როჯეტის თესაურუსის“ სახელით არის ცნობილი და ფართოდ გამოიყენება. ასეთი თესაურუსის ფუნქციას ასრულებს WordNet-იც.

WordNet-ი არის ადამიანის ლექსიკური მეხსიერების თანამედროვე ფსიქოლინგვისტური თეორიების საფუძველზე აგებული ელექტრონული ლექსიკური საცნობარო სისტემა. ინგლისური არსებითი სახელი, ზმნები და ზედსართავეები დალაგებულია სინონიმურ რიგებად. სინონიმური რიგები სხვადასხვა მიმართებაშია ერთმანეთთან. ტრადიციული ლექსიკონებისგან განსხვავებით, სადაც სიტყვები ანბანური თანმიმდევრობით უსისტემოდაა დალაგებული და დისკომფორტს უქმნის მომხმარებელს ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად მოძიების თვალსაზრისით, ლექსიკურ მონაცემთა ბაზებში გაცილებით იოლია ძიება კომპიუტერის საშუალებით. WordNet-ი ტრადიციული ლექსიკოგრაფიული ინფორმაციის და თანამედროვე სწრაფი გამოთვლების ეფექტური კომბინაციის საშუალებას იძლევა.

WordNet-ს საფუძვლად უდევს სიტყვის ის მნიშვნელობანი, რასაც ტრადიციულად იყენებდნენ ლექსიკოგრაფები ლექსიკონების შედგენისას, მაგრამ WordNet-ი ცდილობს ინოვაციური სახით წარმოადგინოს ეს ინფორმაცია (Miller, გვ.23). WordNet-ის გამოყენება ძალიან პრაქტიკულია მრავალი თვალსაზრისით, მათ შორის სპეციალიზირებული ლექსიკონების, მაგალითად, ეკონომიკური ლექსიკონების ასაგებად. იერარქიებად აგებული კონფიგურაციების საშუალებით შესაძლებელია თითოეულ სიტყვაზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება. მაგალითისათვის ავიღოთ ინგლისური სიტყვა “money” (Retrieved June 10, 2018, from <http://wordnetweb.princeton.edu>):

- S: (n) money (the most common medium of exchange; functions as legal tender) *"we tried to collect the money he owed us"*
- S: (n) money (wealth reckoned in terms of money) *"all his money is in real estate"*
- S: (n) money (the official currency issued by a government or national bank) *"he changed his money into francs"*

მივიღეთ მისი სამი განმარტება. აქედან შესაძლებელია თითოეულ განმარტებაზე ამომწურავი ინფორმაცია მივიღოთ თანმიმდევრული ნაბიჯებით:

მოცემული სამი განმარტებიდან შესაძლებელია თანმიმდევრული ოპერაციების საშუალებით თითოეული განმარტება კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ ლინგვისტური

თვალსაზრისით, მოვიდიოთ მისი ჰიპონიმები, ჰიპერნიმები, დერივაციები, მონათესავე სიტყვები და ჟარგონი კი.

ამგვარად, WordNet-ის ლექსიკურ მონაცემთა ბაზაში თითოეული სიტყვის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება შესალებელი, როგორც მისი მნიშვნელობის ისე მისი ლექსიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით.

- S: (n) money (the most common medium of exchange; functions as legal tender) *"we tried to collect the money he owed us"*
 - direct hyponym / full hyponym
 - S: (n) appropriation (money set aside (as by a legislature) for a specific purpose)
 - S: (n) fund, monetary fund (a reserve of money set aside for some purpose)
 - S: (n) boodle, bread, cabbage, clams, dinero, dough, gelt, kale, lettuce, lolly, lucre, loot, moolah, pelf, scratch, shekels, simoleons, sugar, wampum (informal terms for money)
 - S: (n) shinplaster (paper money of little value issued on insufficient security)
 - S: (n) subsidization, subsidisation (money (or other benefits) obtained as a subsidy)
 - S: (n) token money (coins of regular issue whose face value is greater than their intrinsic value)
 - direct hypernym / inherited hypernym / sister term
 - part holonym
 - derivationally related form
- S: (n) money (wealth reckoned in terms of money) *"all his money is in real estate"*
- S: (n) money (the official currency issued by a government or national bank) *"he changed his money into francs"*. (Retrieved June 10, 2018, from <http://wordnetweb.princeton.edu>)

თუ თანმიმდევრულად მივყვებით თითოეულ მათგანს, მივიღებთ:

- S: (n) appropriation (money set aside (as by a legislature) for a specific purpose)
- S: (n) annexation, appropriation (incorporation by joining or uniting)
- S: (n) appropriation (a deliberate act of acquisition of something, often without the permission of the owner) *"the necessary funds were obtained by the government's appropriation of the company's operating unit"; "a person's appropriation of property belonging to another is dishonest"*
- შეგვიძლია კიდევ უფრო დავაზუსტოთ თითოეული ეს მნიშვნელობა.
- S: (n) money (the most common medium of exchange; functions as legal tender) *"we tried to collect the money he owed us"*
 - direct hyponym / full hyponym

- S: (n) appropriation (money set aside (as by a legislature) for a specific purpose)
 - direct hyponym / full hyponym
 - domain category
 - direct hypernym / inherited hypernym / sister term
- S: (n) fund, monetary fund (a reserve of money set aside for some purpose)
- S: (n) boodle, bread, cabbage, clams, dinero, dough, gelt, kale, lettuce, lolly, lucre, loot, moolah, pelf, scratch, shekels, simoleons, sugar, wampum (informal terms for money)
- S: (n) shinplaster (paper money of little value issued on insufficient security)
- S: (n) subsidization, subsidisation (money (or other benefits) obtained as a subsidy)
- S: (n) token money (coins of regular issue whose face value is greater than their intrinsic value)
 - direct hypernym / inherited hypernym / sister term
 - part holonym
 - derivationally related form
- S: (n) money (wealth reckoned in terms of money) *"all his money is in real estate"*
- S: (n) money (the official currency issued by a government or national bank) *"he changed his money into francs"*

(Retrieved June 10, 2018, from <http://wordnetweb.princeton.edu>)

WordNet-ის ლექსიკურ მონაცემთა ბაზაში თითოეული სიტყვის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება შესალებელი, როგორც მისი მნიშვნელობის, ისე მისი ლექსიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით. ამას გარდა, კომპიუტერული თარგმანის შემთხვევაში საძიებო სისტემა საჭირო ინფორმაციას ავტომატურად მოიძიებს ანალოგიური ბაზიდან. ცხადია, ასეთ საძიებო სისტემას სალექსიკონო სტატუსთან შედარებით გაცილებით დიდი უპირატესობა აქვს, როგორც ინფორმატიულობის, ისე დროის ფაქტორის მხრივ, იქნება ეს ელექტრონული ლექსიკონი თუ ჩვეულებრივი ტრადიციული ლექსიკონი. WordNet-ის შემდგომ გაგრძელებაა WordNet Domains, რომელიც წარმოადგენს WordNet-ის დომენტთა სახელწოდებებთან ნახევრად ავტომატურად დამატების გზით შექმნილ ლექსიკურ რესურსს. ნიმუში მოცემულია ცხრილის სახით (ცხრილი1) (გლიოცო & სტრაპარავა/Gliozzo & Strapparava, 2009.გვ.24).

Table 1. WordNet Domains annotation for the senses of the noun \bank"

N	Sense Synset and Gloss	Domains	Semcor
1. bank	depository, financial institution, bank, banking concern, banking company (a _nancial institution. . .)	Economy	20
2. bank	sloping land. . .	Geography, Geology	14
3. bank	a supply or stock held in reserve.. .	Economy	52
4. bank	bank building (a building. . .)	Architecture, Economy	1
5. bank,	an arrangement of similar objects...	Factotum	1
6. bank	savings bank, coin bank, money box, bank (a container. . .)	Economy	52
7. bank	a long ridge or pile. . .)	Geography, Geology	2
8. bank	the funds held by a gambling house. . .	Economy, Play	
9. bank	cant, camber (a slope in the turn of a road. .	Architecture	
10. bank	a ight maneuver. . .	Transport	

ენის ლექსიკა უაღრესად მასშტაბური და უმართავი ნაწილია, როგორც მშობლიურ ისე, უცხო ენაზე. WordNet-ი სწორედ ამ რთული პრობლემის გადაჭრას ემსახურება. WordNet-ის ანალოგიური ქართული ბაზის შესაქმნელად ცალკეული პროექტების სახით მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ ზოგადად ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დასავლეთის ლინგვისტთა თუ ლექსიკოგრაფთა და პროგრამისტთა გამოცდილების გაზიარებას ამ მიმართულებით. ჩვენი კვლევა არის ერთგვარი მცდელობა სწორედ დასავლეთის ადრეული თუ თანამედროვე გამოცდილების საფუძველზე, სემანტიკური ველის თეორიის მონაპოვარისა და WordNet domain-ის მიღწევების გათვალისწინებით ბიზნეს კომუნიკაციის ერთ-ერთი თემატური სივრცის ფარგლებში - ფულსა და ფინანსურ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გარკვეული სისტემატიზაცია და სეგმენტაცია.

თავი III. ფუძემდებლური დებულებები და სეგმენტაციის პრინციპები

3.1. სქემის სეგმენტაციის პრინციპები

ნაშრომში ბიზნესის სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემის ფორმირება

განხორციელდა შემდეგი დებულებების გათვალისწინებით:

მსგავსი რეფერენციის მქონე ტერმინები ერთიანდებიან ტერმინოლოგიურ სისტემებში და ქმნიან ავტონომიურ სისტემას - ტერმინოსისტემას;

ტერმინოსისტემა ტერმინოლოგიის კოგნიტიური მოდელი და საგნობრივი სფეროს მეტამოდელია;

ბიზნესის სფეროს ტერმინოსისტემა წარმოადგენს ტერმინოლოგიური ერთეულების კორპუსს, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის სფეროსათვის შესაბამი ცნებების ნომინაციას;

ტერმინოსისტემა ფორმირდება გასაანალიზებელი ტერმინოლოგიის ცნებითი შემადგენლობის ეტაპობრივი დანაწევრების გზით, რაც ეფუძნება ტერმინების გამოყენების სინშირეს ზეპირ თუ წერილობით ტექსტში;

ტერმინოსისტემის კვლევა გულისხმობს მისი კონცეპტუალური ორგანიზაციისა და მისი შემადგენელი ფრაგმენტების თავისებურებათა ანალიზს;

ტერმინოსისტემის სტრუქტურაცია განხორციელდა განსაზღვრული პრინციპების მიხედვით, რომლებიც იძლევა ერთეულთა შორის ლოგიკური კავშირის გამოვლენის შესაძლებლობას;

ექსტრალინგვისტური თვალსაზრისით, ტერმინოსისტემის სტრუქტურა წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვათა ან სიტყვაშეთანხმებათა სისტემას;

სისტემაში ელემენტთა ჩართვას უზრუნველყოფს რეალიათა, ცნებათა თუ კონცეპტთა სემანტიკური მსგავსება-სიახლოვე, რომლებსაც ისინი ასახელებენ;

ინტრალინგვისტური თვალსაზრისით, ტერმინოსისტემა ღია და დინამიური სტრუქტურაა, რომლის ელემენტებიც განიცდიან მუდმივ ცვლილებებს;

ტერმინოსისტემის სტრუქტურაში იკვეთება ენის ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებითი კანონზომიერებები, რომლებიც გამოიყენება ახალი ობიექტების ნომინაციისათვის;

ტერმინოსისტემის, როგორც რთული და მყარი მთლიანობის ხედვა ეფუძნება ცნებათა ენობრივი ნიშნის ფორმაში კონსტრუირებულ და რეალიზებულ სისტემას - ლოგიკურ სქემას, რომელიც წარმოადგენს დანაწევრებული აღქმის შედეგსა და აბსტრაქციის უმაღლეს დონეს;

ადამიანის ფორმალური ცოდნა სამყაროზე არ არსებობს იზოლირებულად - იგი ქმნის ერთიან, სტაბილურ, კონცეპტებით დაკომპლექტებულ სტრუქტურას;

კონცეპტი, როგორც ლინგვოკოგნიტიური ფენომენი, წარმოადგენს ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების ამსახველი ცნობიერებისა და ინფორმაციული სტრუქტურის, მენტალური ან ფსიქიკური რესურსების ერთეულს;

კონცეპტი მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემის, გონების ენის, ადამიანის ფსიქიკაში ასახული სამყაროს სურათის ერთეულია, რომელსაც გააჩნია შინაარსობრივი განსაზღვრულობა;

კონცეპტი, როგორც ინდივიდის ცნობიერებაში არსებული მენტალური წარმონაქმნი, წარმოადგენს სოციუმის კონცეპტუალური შეღწევის საშუალებას;

კონცეპტის ფორმირება გულისხმობს სინამდვილის გამოცდილებისეული შემეცნების შედეგად მიღებულ მონაცემთა განზოგადების პროცესს;

კონცეპტის ფუნქციონირების პროცესი გულისხმობს იმ ენობრივ საშუალებათა შერჩევასა და გამოყენებას, რომელთა საშუალებითაც, ადრესანტის თვალსაზრისით, შესაძლებელია კონცეპტის აქტივიზაცია ადრესატის შემეცნებაში;

კონცეპტი გააზრებულია როგორც აზროვნების რთული ორგანიზების სტრუქტურა, როგორც სიტყვის შესაძლო მნიშვნელობათა ერთობლიობა;

ცნობიერების ყველა ფენომენი ახსნადია მხოლოდ მთლიანისა და მის ფრაგმენტებს შორის არსებული კავშირების მეშვეობით;

კონცეპტები აღნიშნავენ სახეობებს, მარკერებს, ფუნქციებს და პროცესებს;

კონცეპტთა შორის იკვეთება სახეობითი, ფუნქციონალური, ატრიბუტული, და ლოგიკური კავშირები;

სქემა - კონცეპტთა კონტურები - ადამიანის გამოცდილებას „მთლიანურობის“ თვისებას ანიჭებს;

სქემა წარმოადგენს მრავალზომიან იდეალიზირებულ წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს ენობრივ, მენტალურ და კოგნიტურ ელემენტებს;

სქემა წარმოადგენს ნაწილთა განსაკუთრებულ ორგანიზაციას, რომელშიც ნაწილები ქმნიან ერთ მთლიანობას;

სქემა არის კატეგორიათა - არჩევანთა სისტემა, ადამიანის ცოდნისა და ადამიანის კონკრეტულ სიტუაციაში ქმედების ფორმალიზებული აღწერის სხვადასხვა ტიპების ზოგადი დასახელება; სქემა მოიცავს მონაცემებს არსებითის, ტიპურისა და შესაძლებლის თაობაზე; სქემა ფუნქციონირებს როგორც:

- ა) ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება ცოდნის გამოხატვას;
- ბ) ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება ცოდნის სხვადასხვა ტიპის დიფერენცირებას;
- გ) ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება მეხსიერებაში შენახულ წარმოდგენათა ორგანიზებას.

სქემაში ერთი რომელიმე ცნების გასაგებად საჭიროა მთელი სტრუქტურის გაგება;

სქემა წარმოადგენს ცნებათა იერარქიულ კონსტრუქტს, რომელშიც ვლინდება გაგების გაღრმავება და ცნებათა აბსტრაქტულობის დონის ამაღლება;

ცნებებს შორის დამოკიდებულება ვლინდება როგორც სქემის თითოეული დონის ფარგლებში, ისე დონებს შორისაც;

სქემა აკავშირებს ყველა ცნებასა და მათ შორის არსებული ყველა მიმართების ტიპს;

სქემის ფორმირება ხორციელდება ელემენტთა კონკრეტიზაციის, ასევე მათ რეალურ სამყაროში არსებულ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით;

სქემის ფრაგმენტებს შორის არსებული მიმართებები სიტუაციური, ასოციაციური და ფუნქციონალური ხასიათისაა;

ფრაგმენტებში ელემენტთა ჩართვა ხდება ელემენტთა შორის თემატური კორელაციის არსებობის გათვალისწინებით;

წარმოდგენილია შერეული ტიპის ტერმინებით. სქემის ცენტრში მოთავსებულია

ბირთვული ცნება, რომლისგანაც გამომდინარეობს სხვა ცნებები;


სქემაში იერარქიულადაა განაწილებული „მნიშვნელოვნება“ - ბიზნესის სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემის ბირთვის ქმნის საბაზისო ტერმინები, პერიფერიას კი - ტერმინები, რომელიც

3.2 ბიზნესის სქემა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში

ნაშრომში ბიზნესის სფეროსათვის შესაბამისი ტერმინოსისტემის ფორმირება განხორციელდა შემდეგი დებულებების გათვალისწინებით:

1. მსგავსი რეფერენციის მქონე ტერმინები ერთიანდებიან ტერმინოლოგიურ სისტემებში და ქმნიან ავტონომიურ სისტემას - ტერმინოსისტემას;
2. ტერმინოსისტემა ტერმინოლოგიის კოგნიტიური მოდელი და საგნობრივი სფეროს მეტამოდელია;
3. ბიზნესის სფეროს ტერმინოსისტემა წარმოადგენს ტერმინოლოგიური ერთეულების კორპუსს, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის სფეროსათვის შესაბამი ცნებების ნომინაციას;

ბიზნესის სფეროში გამოიყო შემდეგი თემატური განზომილებები: “Accounting”, “Banking”, “Branding”, “Industrial Sociology”, “Industrial Agreements”, “Labor Relations”, “Employee Relations”, “Enterprise Resource Planning”, “Logistics”, “Marketing”, “Tax”, “Money” (დიაგრამა 2).



დიაგრამა 2

შესაბამისად ქართულში გამოიყო თემატური განზომილებანი: „ბუღალტერია“, „საბანკო საქმე“, „ზრენდი“, „სამრეწველო სოციოლოგია“, „სამრეწველო ხელშეკრულებები“, „შრომითი ურთიერთობა“, „საწარმოს რესურსების დაგეგმვის სისტემა“, „ლოჯისტიკა“, „მარკეტინგი“, „გადასახადი“, „ფული“ (დიაგრამა 3).



დიაგრამა 3

„Accounting“

თემატური განზომილების ლექსიკალიზაცია თანამედროვე ინგლისურ ენაში

ხორციელდება შემდეგი ერთეულების მეშვეობით:

Cash flow; Impairment (financial reporting); Checkoff; Business mileage reimbursement rate; Triple bottom line; Error account; Fourth Bottom Line; Asset; Fund accounting; Clean surplus accounting; Memo posting; Generally Accepted Privacy Principles; Trial balance; Year-ending; Forensic accounting; Clearing account; Reclassification (accounting); Accounting period; Capital surplus; Statement of changes in financial position.

თემატური განზომილების ლექსიკალიზაცია თანამედროვე ქართულ ენაში ხორციელდება შემდეგი ერთეულების მეშვეობით:

ფულადი სახსრების დინება; გაუფასურება/ღირებულების კლება (ფინანსური ანგარიში); დაქვითვა; სამსახურებრივი სარგებლობის ავტოსატრანსპორტო საშუალების ხარჯების ანაზღაურების ტარიფი გარბენის მიხედვით; სამმაგი ქვედა ხაზი/სამმაგი კრიტერიუმი; დახარვეზებული საბუღალტრო აღრიცხვა; მეოთხე ქვედა ხაზი/მეოთხე კრიტერიუმი;

აქტივები; ფონდის სააღრიცხვო სისტემა; სუფთა შემოსავლის აღრიცხვა; საყოველთაოდ მიღებული კონფიდენციალურობის პრინციპები; საცდელი ბალანსი; წლის ბოლო; სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზა; კლირინგული ანგარიში/გასანაწილებელი ანგარიში; რეკლასიფიკაცია (ბუღალტერია); სააღრიცხვო პერიოდი; დამატებით მოზიდული კაპიტალი/ჭარბი კაპიტალი; ამონაწერი ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ. ტერმინოსისტემა ფორმირდება გასაანალიზებელი ტერმინოლოგიის ცნებითი შემადგენლობის ეტაპობრივი დანაწევრების გზით, რაც ეფუძნება ტერმინების გამოყენების სიხშირეს ზეპირ თუ წერილობით ტექსტში.

თანამედროვე ინგლისურ ენაში თემატური განზომილების ნომინაციური ველი შემდეგი შემადგენლობისაა:

Travel and subsistence; Record to report; Fixed asset; Voluntary disclosure; Accounts payable; Year-to-date; Double-entry bookkeeping system; Capital expenditure; Revenue recognition; Income statement; Net income; Basis of accounting; Revenue center; Constant purchasing power accounting; Trade credit; Debits and credits; Accrual; Capital appreciation; International Financial Reporting Standards; Convention of consistency; Balance (accounting); Gross margin; Accounts receivable; Triple bottom line; Financial audit; Accrued liabilities; Total absorption costing Matching principle; Balance sheet; Management accounting; FIFO and LIFO accounting; Cost of goods sold; Adjusted basis; Adjusting entries; Trial balance.

თანამედროვე ქართულ ენაში თემატური განზომილების ნომინაციური ველი შემდეგი შემადგენლობისაა:

სამგზავრო და დღიური ხარჯები; აღრიცხვა-ანგარიშგება; ძირითადი სახსრები/ფიქსირებული აქტივები; ინფორმაციის ნებაყოფლობითი გამჟღავნება; საკრედიტო დავალიანება/გადაუხდელი ანგარიშები; წლის დასაწყისიდან მოცემულ თარიღამდე; ორმაგი აღრიცხვის სისტემა; კაპიტალდანახარჯები/კაპიტალდაბანდების ხარჯები; შემოსავლების აღიარება; საშემოსავლო დეკლარაცია; წმინდა შემოსავალი; ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; შემოსავლების სამსახური; მუდმივი მსყიდველობითუნარიანობის აღრიცხვა; დებეტი და კრედიტი; სავაჭრო კრედიტი; დარიცხვა; კაპიტალის შეფასება; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები; თანმიმდევრულობის კონვენცია; ბალანსი (საბუღალტრო); მთლიანი მოგება; დებიტორული

